ბიულეტენი

№ 53
2001
აპრილი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

- ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი
- რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა რუსეთში მიმდინარე პროცესების ფონზე
- ქვეყნის უსაფრთხოების ინფორმაციული პრობლემები

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 02 - 00944

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მამუკა ნებიერიძე
ოთარ ბაბუნაშვილი

ერონული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი 2

ირაკლი ტორონჯაძე

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა რუსეთში მიმდინარე პროცესების ფონზ 14

გელა კვაშილავა

ქვეყნის უსაფრთხოების ინფორმაციული პრობლემები 21

C 02 - 00944

ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

■ მამუკა ნებიერიძე
ოთარ ბაბუნაშვილი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას გაშუქდეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი. რას წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია? ეს არის ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი ატრიბუტი, პოლიტიკური დოკუმენტი რომელიც ნათლად და პირდაპირ განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა პარამეტრს და მექანიზმს. ეს დოკუმენტი გამომდინარეობს სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებიდან და წარმოადგენს მისი საგარეო პოლიტიკის წარმართვის სახელმძღვანელოს.

რას წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია? ეს არის ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელი ატრიბუტი, პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ნათლად და პირდაპირ განსაზღვრავს სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა პარამეტრს და მექანიზმს

ცხადია, შეუძლებელია ერთ სტატიაში მოექცეს ამ თემასთან დაკავშირებული ყველა მოსაზრება თუ შენიშვნა, აქ მხოლოდ გავამახვილებთ ყურადღებას იმ ფაქტორებზე რომლებიც ფუნდამენტურ როლს თამაშობენ საქართველოს (ან ნებისმიერი სახელმწიფო) ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნის პროცესში.

აღიარებულია რომ, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მჭიდროთ არის დაკავშირებული ორ მნიშვნელოვან ფაქტორთან - სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემასთან.

ეროვნული ინტერესები წარნმოადგენენ უსაფრთხოების კონცეფციის ქვაკუთხედს რადგანაც ზუსტად მათი უზრუნველყოფა არის უსაფრთხოების უპირველესი მიზანი, ეს ინტერესები განსაზღვრავენ ქვეყნის საგარეო კურსს, პოლიტიკას და შესაბამისს მოქმედებებს.

საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენენ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ასპარეზს, არენას. ეს არის „ადგილი" სადაც ხოციელდება სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა, რომელიც გამომდინარეობს მისი ეროვნული ინტერესებიდან და ჩამოყალიბებულია უსაფრთხოების კონცეფციაში.

ასე რომ, უსაფრთხოების კონცეპტუალურ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, რადგანაც ეროვნული ინტერესების თვალნათლივ ჩამოყალიბების გარეშე და საერთაშორისო ურთიერთობების არსისა და თვისებების ანალიზის გარეშე ვერ იქნება შესაძლებელი ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფციაზე სრულფასოვანი მსჯელობა.

სანამ შეუდგებოდეთ ამ საკითხების განხილვას გავეცნოთ თავად უსაფრთხოების ცნების თანამედროვე კლასიკურ განმარტებას.

უსაფრთხოების არსი

ნებისმიერი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა შესისხლხორცებულია ამავე სახელმწიფოს მიერ თავისი ინტერესებისა და მათი განხორციელების გზების გათვითცნობიერებასთან. ნებისმიერი მთავრობის უპირველესი მოვალეობაა შეინარჩუნოს თავისი ხალხის თავისუფლება და ტერიტორიის მთლიანობა.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ მნიშვნელოვან ფაქტორთან - სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემასთან.

ქვეყნების უმრავლესობა აგრეთვე თვლიან საჭიროდ დაიცვან ქვეყნის უფრო ფართო სპექტრის ინტერესები - პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და სოციალური. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების პოლიტიკა ასახავს სახელმწიფოს ფართო საგარეო პოლიტიკას და ეკონომიკურ ინტერესებს, რომლის მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში დაცვა, არის მისი უპირველესი დანიშნულება. მაშასადამე, უსაფრთხოება მრავლისმომცავი და მარადიული კონცეპციაა. იგი მოიცავს ქვეყნის შინაგანი წესრიგის შენარჩუნებას და მისი ეროვნული ინტერესების დაცვას, საჭიროების შემთხვევაში კი ითვალისწინებს ქვეყნის დაცვას გარეშე აგრესიისაგან.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მასშტაბი დამოკიდებულია მის გეოსტრატეგიულ მდგომარეობაზე და ბუნებაზე, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურაზე. ის აგრეთვე დამოკიდებულია ამ სახელმწიფოს ინტერესების ხასიათზე, განვრცობაზე და მის წინააღმდეგ არსებულ ან შესაძლო საფრთხეებზე. ეს საფრთხე შეიძლება იყოს

ნებისმიერი მთავრობის უპირველესი მოვალეობაა შეინარჩუნოს თავისი ხალხის თავისუფლება და ტერიტორიის მთლიანობა

სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან თუნდაც ეკოლოგიური ხასიათის. თუ სახელმწიფო ალიანსის წევრია, მაშინ მოკავშირე ქვეყნების პოლიტიკა უთუოდ იქონიებს ზეგავლენას მის ეროვნულ პოლიტიკაზე. ზოგიერთი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები არ სცდება მის ტერიტორიულ საზღვრებს. სხვა ქვეყნებს გააჩნიათ უფრო ვრცელი და გრძელვადიანი ინტერესები, რომლებიც მოტივირებულია პოტენციური შორეული საფრთხეების თავიდან აცილებით, სტრატეგიულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით ან ისეთი გარემოს შექმნით, რომელშიც შესაძლებელი იქნება ამ ინტერესების უზრუნველყოფა. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეები გაფანტულები იყვნენ მთელი დედამიწის ზურგზე, ეს უთუოდ უქმნის ამ სახელმწიფოს ინტერესებს საზღვარგარეთაც. ხოლო სხვა ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ სპეციფიკური ინტერესი მონათესავე ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების კეთილდღეობაში, რომლებიც იმყოფებიან მის საზღვრებს გარეთ.

ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოება იწყება მისი საზღვრებიდან და ვრცელდება მათ გარეთ.

უსაფრთხოების განხორციელება

უსაფრთხოების განხორციელება ალბათ წარმოადგენს ყოველი სახელმწიფოს დიპლომატიის პირველხარისხოვან მიზანს. ამ მიზნის მიღწევა უთუოდ საჭიროებს სხვადასხვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სავაჭრო, კულტურულ მექანიზმებს და უპირველეს ყოვლისა სამხედრო საშუალებებს. ეს ელემენტები ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც ისინი მოიხმარება კოორდინირებულად როგორც შემადგენელი ნაწილი ერთი, მთლიანი ეროვნული პოლიტიკისა. ეს ელემენტები ჩამოთვლილია ქვემოთ:

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ფორმალური ხელშეკრულებები და შეთანხმებები რომლებიც იძლევიან ორმხრივი უსაფრთხოების გარანტიებს სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო სამართლის (წესრიგის) მხარდაჭერა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უპირველესი მიზანია შეინარჩუნოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. რეგიონალურ ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანებული ერები უზრუნველყოფენ მექანიზმებს კონფლიქტების მოწესრიგებისა და მშვიდობისმყოფელობისათვის. აგრეთვე, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს ფორმალურად შეუძლია გამოიყენოს ყველა საშუალება მშვიდობისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად.

შეთანხმებები და პოლიტიკურად დამაკავშირებელი ხელშეკრულებები, რომლებიც საზღვრავენ გარკვეული სახის შეიარაღებების ფლობასა და გავრცელებას ეხმარებიან მსოფლიო სტაბილურობის განმტკიცებას. ამ განხრით არსებობს სამი ძირითადი მიზანი: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების რისკის შემცირება; სტაბილიზაციის მოპოვება რომელიმე რეგიონში სპეციფიკური კატეგორიის ძალების რაოდენობის შემცირების საშუალებით და ომის წარმართვის გარკვეული მეთოდების აკრძალვა. ასეთი შეთანხმებები აგრეთვე უწყობენ ხელს პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის გაძლიერებას ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ეგრეთ წოდებული ორმაგი მოხმარების ნაწარმის ტრანსფერების დროს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ისეთ ნაწარმებს, რომლის მოხმარებაც შეიძლება როგორც მშვიდობიანი მიზნებისათვის ასევე მასობრივი განადგურების შეიარაღების წარმოებისათვის.

რაც შეიძლება მეტი სახელმწიფოების ჩართვა თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობაში უთუოდ ხელშემწყობი ფაქტორია მსოფლიო სტაბილიზაციისადმი საერთო ინტერესის განმტკიცებაში. ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლური ძალისხმევები კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დასაძლევად (მაგ. სიღარიბე და შიმშილობა). კულტურული, ტექნიკური და საგანმანათლებლო გაცვლები ეხმარება სახელმწიფოებს შორის ურთიერთგაგებისა და ნდობის გაძლიერებას.

მიუხედავად იმისა, რომ აქ აღწერილი უსაფრხოების არსის სტანდარტული ფორმულირება

საყოველთაოდ აღიარებულია, ის ვერ იძლევა რეალურ პრაქტიკულ შედეგს ქვეყნის უსაფრთხოების მოთხოვნების განხორციელებისას. ამის მიზეზი უსაფრთხოების თეორიის წინააღმდეგობრივი ხასიათია. ამ შეუსაბამობების მიუხედავად, აღწერაში თვალნათლივ ჩანს უსაფრთხოების უკვე ნახსენები ორი ფუნდამენტური კომპონენტის მნიშვნელობა. ამიტომაც წარმოგიდგენთ მათ განხილვას.

საერთაშორისო ურთიერთობები

ამ საკითხის ანალიტიკური დისკუსიის დროს ვაწყდებით ორ ძირითად მიმდინარეობას, რომლებიც ცდილობენ ახსნან და ლოგიკური განმარტება უპოვონ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. რეალისტური, ისევე როგორც ლიბერალური თეორიული სკოლა თავისებურად აყალიბებს და კონცეპტუალიზაციას უკეთებს საერთაშორისო ურთიერთობების არსსა და საკითხებს, მოყავთ რა როგორც კონკრეტული მაგალითები ისტორიიდან ასევე თეორიული ახსნა-განმარტებები. ამ ორი მიმდინარეობის შეხედულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა როგორც მკითხველი თავად ნახავს, ეს დისკუსია თითქმის გადაუწყვეტავია, რადგანაც ორივე მხარეს გააჩნია ლოგიკური და გასაგები არგუმენტები თავისი კონცეფციის დასაცავად და დასამტკიცებლად.

რეალიზმი

ომისა და მშვიდობის პრობლემები რეალიზმის თეორიის ქვაკუთხედია, რადგანაც ზუსტად ომი წარმოადგენს ერებისა და სახელმწიფოების არსებობის ძირითად საფრთხეს. საგარეო სამხედრო საფრთხის წინაშე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეალიზმის თეორიის ძირითადი არსია, ამიტომაც რეალისტები ძირითად ყურადღებას ომებს უთმობენ (განსაკუთრებით ომებს მსხვილ სახელმწიფოებს შორის), მისი წარმოშობის მიზეზებსა და თავიდან აცილების საშუალებებს. პოლიტიკოსები, რომლებიც რეალიზმის პრაქტიკით ხელმძღვანელობენ თავიანთ ძირითად ამოცანად საგარეო სამხედრო საფრთხის წინაშე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას მიიჩნევენ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში ვერც ერთი ქვემოთ მოყვანილი თეორია ვერ გახდა წამყვანი, რეალიზმი წარმოადგენს მეცნიერული აზროვნების დომინირებად მიმართულებას საერთაშორისო პილიტიკის სფეროში.

რეალიზმი გამომდინარეობს ექვსი ძირითადი წინაპირობიდან, თუ როგორ არის მოწყობილი საერთაშორისო ურთიერთობები. პირველი მდგომარეობს, იმაში რომ საერთაშორისო პოლიტიკა თავისი არსის მიხედვით ანარქიულია. თუმცა ანარქია მოცემულ შემთხვევაში ქაოსთან არ არის გაიგივებული. რეალისტები ახასიათებენ საერთაშორისო სისტემას როგორც ანარქიას, იმიტომ რომ საშინაო პოლიტიკური მოწყობისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისტემის სუბიექტების ზემოთ არ არსებობს მართვის რაიმე ცენტრალური პოლიტიკური ორგანო. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა დამოუკიდებელი და სუვერენული სუბიექტებისაგან - სახელმწიფოებისაგან შედგება, რომლებიც არ ემორჩილებიან და არ იმართებიან რაიმე უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს მიერ. და სინამდვილეშიც, სახელმწიფოები ფლობენ სუვენერიტეტს სწორედ სახელმწიფოების მართვის უფლებამოსილების მქონე ძალაუფლების უმაღლესი პოლიტიკური ორგანოს არარსებობის გამო. სახელმწიფო სუვერენიტეტი ნიშნავს, რომ „ფორმალურად ყველა ყველას სწორია. არავის არა აქვს ბრძანებლობის უფლება და არავინ არავის არ ემორჩილება“.[1] ზუსტად ამიტომ საერთაშორისო სისტემაში სჭარბობს ანარქია.

რეალიზმის მეორე ძირითადი პირობა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური სუბიექტი, საერაშორისო სისტემის მთავარი მონაწილე. საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისაგან შედგება. რეალისტები რასაკვირველია აღიარებენ სხვა მონაწილეთა არსებობას, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფოს. მაგრამ თვლიან, რომ ეს „არასახელმწიფო“ მონაწილეები არ ფლობენ არც დამოუკიდებლობას და არც სახელმწიფოების, განსაკუთრებით მსხვილი სახელმწიფოების შესაძლებლობებს. მხოლოდ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების სუვერენულ მონაწილეებს, და ზუსტად ისინი აგრძელებენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას ამ სფეროში - გადაწყვეტილებებს ომსა და მშვიდობაზე.

მესამე, სახელმწიფოები უნიტარული მონაწილეები არიან. რეალისტები ანალიტიკური მიზნებისათვის გამოდიან წარმოდგენიდან, რომ სახელმწიფოები წარმოადგენენ უნიტარულ, ინტეგრირებულ მონაწილეებს, რომლებიც სხვა სახელმწიფოებთან თავიანთ ურთიერთობებში ერთი პირის სახელით გამოდიან. სახელმწოფო ერთიან პოლიტიკას ატარებს დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში, და ზუსტად სახელმწიფო ან მისი ცენტრალური ხელისუფლება აწარმოებს საქმიანობას სხვა სახელმწიფოებთან.

[1] *Kennet N. Walts, "Theory of International Relations", Eddison Wesley, Reading, 1979*

სახელმწიფო და საზოგადოება ერთი მთლიანია (ერთიანია), ხოლო სახელმწიფო საზოგადოების სახელით გამოდის, რომელსაც ის წარმოადგენს. შინაგანი (შიდა), საზოგადოებრივ მონაწილეებს - პოლიტიკურ პარტიებს, კლასებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ცალკეულ მოქალაქეებს - არ შეუძლიათ წარმოადგინონ მთელი ერი საერთაშორისო არენაზე, ხოლო მათი ინტერესები დაქვემდებარებულია უმაღლეს ეროვნულ ინტერესებზე. ანალოგიურად, სახელმწიფო სუბიექტები უნდა ახდენდნენ თავის მოქმედების კოორდინირებას და არ უნდა ღებულობდნენ დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. ვიოტისა და კაუპის აზრით: „სახელმწიფო წარმოადგენს უნიტარულ მონაწილეს იმ გაგებით, რომ იგი ატარებს ერთნაირ პოლიტიკას კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.“[2] როგორც კი შიდა-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება მიიღება, საჭიროა უთანხმოების დავიწყება და სახელმწიფომ უნდა გამოხატოს საერთო პოზიცია. არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ, არც სასამართლო ხელისუფლებას (როგორც სხვადასხვა ორგანოს, რომლებიც მიეკუთვნებიან აღმასრულებელ ხელისუფლებას) არ უნდა გააჩნდეთ განსხვავებული ინტერესები ეროვნულ და სახელმწიფოს უფრო ფართო ინტერესებისაგან.

რეალისტებისათვის რასაკვირველია ცნობილია ამ წესიდან ზოგიერთი გამონაკლისი. ხანდახან სახელმწიფო ორგანოებს შეუძლიათ ღიად გამოხატონ სხვადასხვა აზრი ცალკეულ უმნიშვნელო საკითხთა გარშემო, რომელზედაც ანნაკლებ თუ რამეა დამოკიდებული, ან არ არსებობს ოფიციალური პოზიცია. ამგვარ ვითარებაში საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მონაწილეებსაც შეუძლიათ განახორციელონ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოქმედება. თუმცა რეალისტები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ თუ საქმე ეხება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, სხვა ქვეყნებთან დამოუკიდებელი ურთიერთობების მცდელობები ერთობლივი კოორდინაციის გარეშე ან საერთოდ არ ხორციელდება, ან დაუყოვნებლივ აღიკვეთება. ამგვარად, ვარაუდი, რომ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების უნიტარულ მონაწილეებს, კვლავაც შეიძლება ჩაითვალოს სამუშაო დაშვებად.

მეოთხე, ანალიტიკური მიზნებისათვის რეალისტები აგრეთვე უშვებენ, რომ სახელმწიფოები არიან არა მარტო უნიტარული, არამედ აგრეთვე რაციონალური მონაწილეები. იგულისხმება, რომ სახელმწიფოებს აქვთ საშუალება განსაზღვრონ თავიანთი ინტერესები და მიზნები, და აგრეთვე თავიანთი ინტერესებისა და მიზნების რისკი და საფრთხეები, შეაფასონ საპასუხო მოქმედებების ალტერნატიული ვარიანტები არსებულ რისკებსა და საფრთხეებზე და აირჩიონ ის ვარიანტი, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს მათ ინტერესებსა და მიზნებს. ამგვარად ეს არის რაციონალური მოქმედება, რადგანაც სახელმწიფოებს შეუძლიათ მოახდინონ ყველაზე მომგებიანი ვარიანტის შეფასება თავიანთი ინტერესებისა და მიზნების გათვალისწინებით.

მაგრამ, რეალისტები საკმაოდ ფრთხილად აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სახელმწიფოების რაციონალური მოქმედებისა, ამით წარმატება გარანტირებული სულაც არ არის. რაციონალურობა გარანტიას არ აძლევს სახელმწიფოს შეცდომების დაშვებისაგან, რომელიც არასრული ან არასწორი ინფორმაციის შედეგს წარმოადგენს. რაციონალურობა აგრეთვე წარმოადგენს სუსტ დამცავ საშუალებას ზოგიერთი სახელმწიფოების წინასწარ განსაზღვრული მცდელობებისაგან შეცდომაში შეიყვანოს სხვა სახელმწიფოები თავიანთ მიზნებს, ძლიერ და სუსტ მხარეებთან დაკავშირებით.

რეალიზმის მეხუთე ძირითადი დაშვება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოთა ქცევის ყველაზე მეტად განმსაზღვრელ ფაქტორს. სუვერენულ სახელმწიფოთა ანარქიული სისტემის პირობებში, როდესაც ერთმანეთთან ურთიერთობები იგება რაიმე ცენტრალური ორგანოს კონტროლის გარეშე, რომელსაც შეეძლებოდა წესრიგის დამყარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კონფლიქტების მოგვარება და გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა, სახელმწიფოებმა თავის თავზე თვითონვე უნდა იზრუნონ. სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, საერაშორისო სისტემა წარმოადგენს თვითდახმარების სისტემას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები ესწრაფვიან საკუთარი გადარჩენის გარანტირებას საკუთარი პოტენციალის ან ძლიერების მატების გზით, რაც აუცილებელია მათი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანია არა აბსოლუტური არამედ ფარდობითი სიძლიერე, განსაკუთრებით შეტევითი და თავდაცვითი სამხედრო ძალა. მირშეიმერი განმარტავს რომ „... რაც უფრო მეტია ერთი სახელმწიფოს სამხედრო უპირატესობა სხვებზე, მით უფრო უსაფრთხო მდგომარეობაშია ის. ნებისმიერი სახელმწფოს სურვილია გახდეს ყველაზე ძლიერი სამხედრო ხელისუფალი სისტემის ფარგლებში. რადგანაც ეს გადარჩენის

[2] *Paul R. Viotti and Mark V. Cauppi, "Theory of International Relations:Realism, Pluralism and Globalism", Macmillan, New York, 1993.*

უსაფრთხოების საკითხები ძველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. რეალისტების მიხედვით გენერალური სტრატეგია და ეროვნული უსაფრთხოება მაღალი პოლიტიკის არსს წარმოადგენს.

გარანტირების საუკეთესო საშუალებაა საფრთხეებით სავსე მსოფლიოში.“[3] უპირატესობის მიღწევისათვის შეჯიბრი და მათგან გამომდინარე კინფლიქტები დამახასიათებელია თვითდახმარების ანარქიული სისტემისათვის, რადგანაც შეუძლებელია ყველა სახელმწიფო გახდეს უძლიერეესი სამხედრო ხელისუფალი სისტემის ფარგლებში. ამგვარად, რეალისტები კონფლიქტებს გარდაუვალად თვლიან, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკა მათი აზრით წარმოადგენს თამაშს ნულოვანი შედეგით. თუ მნიშვნელოვანია არა აბსოლუტური, არამედ ფარდობითი სიძლიერე, მაშინ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი სიძლიერე სხვა სახელმწიფოების ხარჯზე. თუ ერთი სახელმწიფო იგებს, მაშინ სხვა სახელმწიფომ უნდა წააგოს.

არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია იდგეს განკერძოებულად სისტემის მიერ გადარჩენისა და უპირატესობისათვის თავსმოხვეული ბრძოლისაგან. იმისდა მიუხედავად, ცდილობენ თუ არა სახელმწიფოები გაზარდონ თავიანთი ძლიერება საკუთარი შიდა შესაძლებლობების ხარჯზე ან საგარეო ალიანსებისა ან კოალიციების შექმნის მეშვეობით, მათი მოქმედებები ამ ბრძოლით არის მოტივირებული. თვით იმ სახელმწიფოებსაც კი ვერ შესწევთ სისტემის გავლენა აიცილონ თავიდან, რომლებიც ცდილობენ საკუთარი უსაფრთხოების შენარჩუნებას, თავდაცვითი და არა შეტევითი სამხედრო პოტენციალის გაზრდით. სისტემის სხვა წევრები არ დააყოვნებენ ამ სახელმწიფოს ცუდ ზრახვებში დაეჭვებას და საპასუხოდ დაიწყებენ საკუთარი სამხედრო პოტენციალის გაზრდას, რითაც აიძულებენ თავდაცვითი პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფოს, თავის მხრივ მიიღოს საპასუხო ზომები. უსაფრთხოების ეს დილემა გარდაუვალია ანარქიის პირობებში. რეალისტების მიერ შექმნილ ანარქიულ სამყაროში ომის საშიშროებისაგან თავის დაღწევა შეუძლებელია.

რეალიზმის პოზიციიდან საერთაშორისო ურთიერთობების განმარტება ნათლად გამოკვეთავს სახელმწიფოების ქცევაზე სისტემური ანარქიის ზეგავლენას. სახელმწიფოსა და მისი ლიდერების დახასიათებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს. არც სახელმწიფოს ტიპი - დემოკრატიული, ავტორიტარული, ან ტოტალიტარული, რესპუბლიკა თუ მონარქია - ან მათი ლიდერების დახასიათება - იდეალისტები არიან ისინი თუ პრაგმატიკოსები, მორალურები თუ ამორალურები, - არამედ საერთაშორისო სისტემის ანარქიული ბუნება, მისი სტრუქტურა და ამ სტრუქტურაში სახელმწიფოს მდგომარეობა განსაზღვრავს სახელმწიფოს ქცევებს.

მეექვსე და უკანასკნელი დაშვება რეალიზმისა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა იმ საკითხთა წრიდან, რომლითაც სახელმწიფოები არიან დაკავებულნი, მონაწილეობენ რა საერთაშორისო ურთიერთობებში, სამხედრო უსაფრთხოების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. უსაფრთხოების საკითხები პირველ ადგილზე დგას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. რეალისტების მიხედვით გენერალური სტრატეგია და ეროვნული უსაფრთხოება მაღალი პოლიტიკის არსს წარმოადგენს, ხოლო ყოველივე დანარჩენი, ეკონომიკის ჩათვლით, მიეკუთვნება ყოველდღიურ, „დაბალ“ პოლიტიკას. ეს არ ნიშნავს, რომ ეკონომიკური საკითხები არანაირ როლს არ თამაშობენ. აქ რეალისტები უფრო გულისხმობენ იმას, რომ უსაფრთხოების პრობლემებსა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს უფრო მაღალი პრიორიტეტი გააჩნიათ ეკონომიკურ საკითხებთან შედარებით, რამდენადაც საციცოცხლოდ მნიშვნელოვანნი არ უნდა იყონ ისინი. სინამდვილეში მაღალი პოლიტიკა განსაზღვრავს დაბალ პოლიტიკას, პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკას, რომელიც პოლიტიკის ლოგიკას ექვემდებარება. მირშეიმერი უკიდურესად გულწრფელია ამ საკითხთან დაკავშირებით „. . . სახელმწიფოები მოქმედებენ როგორც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში, და მაშინ როდესაც ეს სისტემები ერთმანეთან კონფლიქტში შედიან, პირველი დომინირებს ამ უკანასკნელზე. რადგანაც სახელმწიფოს არ გააჩნია თვითგადარჩენაზე უფრო მაღალი მიზანი, კრიტიკულ ვითარებებში საერთაშორისო პოლიტიკური შეხედულებები გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენენ, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიტიკოსთა გადაწყვეტილებებს.“[4] თვითდახმარების ანარქიული სისტემის ფარგლებში სახელმწიფოები გარდაუვალად უნდა იყვნენ დაკავებულნი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებით, ტერიტორიული

[3] *Joh. J. Mirscheimer, " False Promises of International Organisations" in International Security, Vol. 19, 1994-1995*

[4] *John J. Mirscheimer, "Back to the Future: Instability in Europe after the Cold War", in International Security, Vol 15, Summer 1990.*

მთლიანობით, და სამხედრო სიძლიერის ადეკვატურობითა თუ არა ადეკვატურობით. უაიმანისა და დილის აზრით რეალისტებისათვის, „ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვანია, როგორც სამხედრო პოტენციალის მხარდაჭერის, სრულყოფისა და უზრუნველყოფის საშუალება“.[5]

ლიბერალიზმი

რეალიზმის მთავარ თეორიულ მეტოქედ, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, ლიბერალიზმი წარმოგვიდგება. ლიბერალიზმის ისტორიული ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც შეიცავს ისეთ მოაზროვნეთა იდეებს, როგორებიც არიან მონტესკიე, ლოკი, რუსო, კანტი და ეკონომისტები ადამ სმიტი და დევიდ რიკარდო, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალიზმის მემკვიდრეობა. ხოლო ლობერალიზმის თანამედროვე მომხრეები - გრემ ელისონი, რობერტ კეოხანი, ჯოზეფ ნაი, და ჯონ რაგი, მაგალითად, - არანაკლები რეპუტაციით სარგებლობენ, ვიდრე რეალიზმის თეორიის თანამედროვე მიმდევრები. მეოცე საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ლიბერალიზმის მიმდევრები იყვნენ ვუდრო ვილსონი და ფრანკლინ რუზველტი, განსხვავებით რეალისტების რიჩარდ ნიქსონისა და გენრი კისინჯერისაგან. ვინ უფრო ავტორიტეტულია მათ შორის აირჩიოს მკითხველმა.

საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ ომისა და მშვიდობის პრობლემა, ხოლო ომი არ წარმოადგენს კონფლიქტის ერთადერთ ფორმას, როგორც მშვიდობა არ წარმოადგენს თანამშრომლობის ერთადერთ სახეს.

თუ რეალისტები ძირითად ყურადღებას უთმობენ ომისა და მშვიდობის საკითხებს, ლიბერალებისათვის მთავარი კონფლიქტისა და თანამშრომლობის პრობლემაა. ეს უკანასკნელი უფრო ფართო კონცეფციას უჭერენ მხარს, ვიდრე რეალისტები, რომლებიც, ამტკიცებენ რომ პირველნი, გადამეტებულად კონსტრუქციულნი და წინდაუხედავნიც კი არიან. საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე უბრალოდ ომისა და მშვიდობის პრობლემა, ხოლო ომი არ წარმოადგენს კონფლიქტის ერთადერთ ფორმას, როგორც მშვიდობა არ წარმოადგენს თანამშრომლობის ერთადერთ სახეს. საერთაშორისო პოლიტიკაში წარმოიშვება ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული, სოციალური, რელიგიური ეთნიკური და სამხედრო კონფლიქტები. ომი არ წარმოადგენს ერებისა და სახელმწიფოების არსებობისათვის ერთადერთ საშიშროებას. ეპიდემიები, შიმშილი და სხვა უბედურებები ასევე აყენებენ საფრთხის ქვეშ ერებისა და სახელმწიფოების არსებობას. ხოლო თანამშრომლობა წარმოიშვება არა მხოლოდ მშვიდობის მიღწევის შემდეგ, არამედ მაშინაც როდესაც კონფლიქტი მძვინვარებს. შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა, ნატომ და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამაც კი შეძლეს ეთანამშრომლათ „ცივი ომის“ პერიოდში, თანაც ხანდახან თანამშრომლობა შეიარაღებაზე კონტროლის საკითხებში აშშ-სა და საბჭოთა კავშირს და ნატო-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის დაძაბულობის შენელებას უწყობდა ხელს. ამგვარად, ლიბერალი-პოლიტიკოსები არც თუ ისე შეზღუდულები არიან ეროვნული უსაფრთხოების ვიწრო საკითხებით, როგორც მათი კოლეგები-რეალისტები.

ლიბერალები კრიტიკის ქვეშ ატარებენ თითქმის ყველა იმ წინაპირობასა და დაშვებას, რომელსაც რეალისტები იცავენ. პირველ რიგში ისინი ყურადღებას აქცევენ რეალისტების მიერ საერთაშორისო სისტემის დახასიათებას როგორც ანარქიულის. ლიბერალი ანალიტიკოსები ეთანხმებიან რეალისტებს, რომ საერთაშორისო სისტემაში არ არსებობს ხელისუფლების რაიმე ცენტრალური ორგანო რომელსაც შეეძლებოდა წესრიგის დამყარება, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დავების გადაწყვეტა და გადაწყვეტილების შესრულების გარანტირება. მაგრამ, აღნიშნავენ ლიბერალები, სახელმწიფოები და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა მონაწილეები ანარქიის პირობებშიც თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რაც მათ საშუალებას აძლევს დაამყარონ წესრიგი, განამტკიცონ თავიანთი უსაფრთხოება, გადაწყვიტონ დავები და მიაღწიონ გადაწყვეტილებების შესრულებას. საერთაშორისო საზოგადოების ფუნქციონირება შესაძლებელია სახელმწიფოთა ანარქიული სისტემის ჩარჩოებშიც. შემუშავებულ იქნა პრინციპები, ნორმები და წესები რომლებიც ზღუდავენ და არეგულირებენ სახელმწიფოების მოქმედებებს. ამ სახელმწიფოებმა თავისი ერთობლივი სუვერენული ძალისხმევით შექმნეს საერთაშორისო ორგანიზაციები და განსაზღვრეს საერთაშორისო რეჟიმი, რომლის ჩარჩოებშიც ხორციელდება ის აღიარებული პრინციპები, ნორმები და წესები. ასეთი საერთაშორისო რეგულაციით არავითარ

[5] *Frank U, Waiman and Paul F. Dill, "The Restoration of RealPolitik", Michigan University, 1994.*

შემთხვევაში არ ირღვევა, არანმედ ნაწილობრივ იზღუდება სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპი იმ საერთაშორისო ორგანიზაციების სასიკეთოდ, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო წესრიგსა და თანამეგობრობას. ასე რომ, სახელმწიფოები, ლიბერალების აზრით, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი სუვერენიტეტის უზრუნველყოფას ვიდრე ეს რეალისტებს წარმოუდგენთ. ჩნდება ისეთი შთაბეჭდილება თითქოსდა რეალისტები უფრო განიცდიან სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხს ვიდრე თვით სახელმწიფოები.

მეორე, ლიბერალები არ ეთანხმებიან რეალისტების „ვიწრო" შეხედულებას სახელმწიფოზე როგორც ცენტრალურ მოთამაშეზე საერთაშორისო ურთიერთობებში. ხშირ შემთხვევედში სახელმწიფო არ თამაშობს ცენტრალურ როლს, მაგალითად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, სადაც ყოველდღიურად შესდგება მილიონობით დოლარის ოდენობის საფინანსო გარიგებები, სახელმწიფოების მხრიდან ყოველგვარი სახის ჩარევის გარეშე. საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბი უფრო ფართოა ვიდრე ეს რეალისტებს წარმოუდგენიათ. საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავენ არა მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს, არამედ ბევრი გლობალური, რეგიონალური და ფუნქციონალური ორგანიზაციების (მაგ. გაერო, ევროსაბჭო, ეუთო, ოპეკი და ა.შ.), არასამთავრობო ორგანიზაციების (გრინფისი, წითელი ჯვარი), მრავალეროვნული კორპორაციების, კრიმინალორი სინდიკატების და ცალკეული პირების საქმიანობას, რომელთა მოღვაწეობაც არ არის შეზღუდული სახელმწიფოების მიერ დაწესებული საზღვრებით. ეს სხვადასხვა ორგანიზაციები, რომელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, პირდაპირ კავშირს ამყარებენ როგორც ერთმანეთთან ასევე სახელმწიფოებთანაც. საერთაშორისო ურთიერთობების ეს „არასახელმწიფო" მონაწილეები ისეთ საკითხებს აყენებე დღის წესრიგში, რომლებზეც სახელმწიფოებს უწევთ პასუხის გაცემა. ისინი კონკურენციას უწევენ სახელმწიფოებს და ზღუდავენ მათი მოქმედების თავისუფლებას, ხშირად ერევიან მათი უფლებების სფეროში და ბევრჯერ დამოუკიდებლად ახდენენ ზეგავლენას მოვლენებზე. არის შემთხვევები როდესაც ეს „არასახელმწიფო" საერთაშორისო მოთამაშეები ფლობენ ბევრად უფრო მეტ რესურსებს ვიდრე ის სახელმწიფოები რომლებთანაც მათ უწევთ ურთიერთობა.

მესამე, ლიბერალები აგრეთვე უარყოფენ იმ მოსაზრებას თითქოსდა სახელმწიფოები იყვნენ საერთაშორისო ურთიერთობების უნიტარული მონაწილეები. სახელმწიფოები იშვიათად თუ გამოდიან საერთო პოზიციით სხვა მონაწილეების და დანარჩენი მსოფლიოს წინაშე. სახელმწიფოსა და საზოგადოებას შეიძლება სხვადასხვა შეხედულება გააჩნდეს. ვიოტის და კაუპის აზრით, „რეალისტების აზრი სახელმწიფოზე როგორც უნიტარულ მონაწილეზე წარმოადგენს აბსტრაქციას, რომელიც მალავს პოლიტიკის არსს, მოცემულს ძირითადად თვით სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფო -ეს არ არის ერთგვარი მატერიალიზირებული სუბიექტი და მისი განხილვა როგორც ფაქტიური პირი, ყოველთვის მოქმედი ყოველთვის რაციონალურად და შესაბამისად გარკვეული აზრობრივი წარმოდგენისა, წარმოადგენს აბსტრაქციას."[6] სახელმწიფოების ქცევის ახსნა შეუძლებელია, მის შემადგენელ ნაწილთა ქცევის ანალიზის (და თვით ამ კომპონენტთა შემადგენელთა გარეშე), სახელმწიფო ხელისუფლების და ცალკეული ჯგუფების და მოქალაქეების ქცევის ანალიზის გარეშე. ლიბერალები, სახელმწიფოს ქცევის ახსნისათვის მიმართავენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ანალიზსს. არც სახელმწიფო და არც სახელმწიფო ხელისუფლება არ წარმოადგენენ აბსტრაქტულ საგანს. სახელმწიფოს „შავი ყუთის" შიგთავსი, რეალისტების გაგებით, არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელიც შედგება ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, საკანონმდებლო ორგანოსა და მისი კომიტეტებისაგან და აგრეთვე ამ ორგანოების წარმომადგენლობებისაგან. სახელმწიფო არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ფუქციონირებენ მისი ორგანიზაციები, დაწესებულებები და მათი წარმომადგენლობები. სახელმწიფო გადაწყვეტილებები წარმოადგენს ხელისუფლების ვიწროსპეციალიზირებულ უმაღლეს ორგანოთა საქმიანობის შედეგს, რომელთა სამუშაოები, როგორც წესი, ცუდად კოორდინირებულია. ხელისუფლების ეს ორგანოები ძირითადად ეყრდნობიან გარკვეულ სტანდარტულ წესესბსა და წესრიგს. მათ მიერ გამოყენებული მეთოდები (და შესაბამისად გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფე) შეზღუდულია, ხოლო მათი შეგუება წარმოშობილ ცვლილებებთან მიმდინარეობს ნელა და ეტაპობრივად. უარყოფენ რა რეალისტების მოსაზრებას .სახელმწიფოს როგორც უნიტარული მონაწილის შესახებ, ლიბერალები თვლიან, რომ არსებობს მრავალი მონაწილე ან მოთამაშე რომლებიც არა მხოლოდ სტრატეგიულ საკითხებს აქცევენ თავიანთ ყურადღებას, არამედ აგრეთვე ბევრ სხვა, მრავალმხრივ შიდანაციონალურ პრობლემებს. ეს მონაწილეები მოქმედებენ არა ერთგვარი თანმიმდევრული სტრატეგიული მიზნების ფარგლებში, არამედ შესაბამისად სხვადასხვა ეროვნული, ორგანიზაციული და პირადი მიზნებიდან გამომდინარე. ისენი იღებენ სახელმწიფო გადაწყვეტილებებს არა რაციონალური შერჩევით არამედ სხვადასხვა

[6] *Viotti and Kauppi, "Theory of International Relations".*

ინტერესებიდან გამომდინარე და ზუსტად ეს წარმოადგენს პოლიტიკის არსს.

„არასახელმწიფო" მონაწილეები - პოლიტიკური პარტიები, კლასები, საზოგადოებრივი ჯგუფები, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და მოქალაქეები - ასევე ცდილობენ ზეგავლენა იქონიონ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზე. ეს მონაწილეები ებრძვიან ერთმანეთს, აღწევენ ერთმანეთთან შეთანხმებებს და მიდიან კომპრომისებზე, ცდილობენ რა გავლენა მოახდინონ სახელმწიფო გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე. საგარეო და საშინაო პოლიტიკა წარმოადგენს მრავალმხრივი პოლიტიკური კომპრომისების შედეგს. სინამდვილეში ბევრი ლიბერალი ანალიტიკოსი არ ეთანხმება იმას თუ როგორ გამიჯნავენ ერთმანეთისაგან რეალისტები საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

ყველა ამ მოქმედ პირს აქვს საკუთარი ინტერესები და ამის შედეგად განსხვავებული, ხშირად საწინააღმდეგო სახელმწიფოებრივი ინტერესებისა. სახელმწიფო და არასახელმწიფო ინტერესები, უმეტეს შემთხვევაში, არ შეესაბამება რეალისტების გაგებით „ეროვნული ინტერესების" კონცეფციას.

რეალიზმი და ლიბერალიზმი: ანალიტიკური ილუსტრაცია

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს ლიბერალიზმიც და რეალიზმიც საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების წინააღმდეგობრივ განმარტებებში ამომწურავ და დამაჯერებელ დასკვნებს ვერ გვთავაზობს. თუ რეალიზმი აღიარებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ანარქიული ხასიათისაა, რადგანაც არ არსებობს რაიმე ერთიანი პოლიტიკური ორგანო, რომელსაც ყველა სახელმწიფო დაემორჩილებოდა ანუ ორგანო, რომელიც მოაგვარებდა ყოველნაირ დავას, უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას და გადაწყვეტილებების შესრულერებას, ლიბერალიზმი უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესს იმგვარი წინააღმდეგობებითა და მრავალმხრივობით განმარტავს რაც ზუსტად ანარქიის დამახასიათებელია. თუ რეალისტების აზრით საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტები არიან უნიტარული სახელმწიფოები, ლიბერალზმს არათუ შემოჰყავს არასახელმწიფოებრივი სუბიექტები საერთაშორისო ურთიერთობებში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკაში სახელმწიფოს, როგორც ერთიანი მოქმედი პირის იდეასაც ეჭვქვეშ აყენებს, უშვებს რა სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკის განსამზღვრელი მრავალი სუბიექტის არსებობას - პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებსაც კი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიბერალებს უსაფრთხოების პოლიტიკის ფორმირების პროცესისა და საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას, შემოჰყავთ რა უამრავი ირიბი ფაქტორი და მომქმედი პირი, ქაოტურს ხდიან მათ.

საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ძირითადი მიმდინარეობების განმარტებითი სქემა

	რეალიზმი	ლიბერალიზმი
მთავარი პრობლემა	ომი და მშვიდობა	კონფლიქტები და თანამშრომლობა
სართაშორისო სისტემის მოდელი	ანარქიული	შეზღუდული ანარქია
მონაწილეები	სახელმწიფოები	საერთართაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფოები, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრიეი ორგანიზაციები, მას მედია, მოქალაქეები
მონაწილეთა საქმიანობა	უნიტარული, რაციონალური, ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით	პოლიტიკური, საერთაშორისო გარიგებები და კომპრომისები სახელმწიფო და კერძო ინტერესების დასაცავად
რეზულტატი	ნულოვანი	დადებითი
პრიორიტეტული საკითხები	საკითხები რომლებიც ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას	უფრო ფართო სპექტრი: სოციალურ-ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები
დამოკიდებულება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის	პოლიტიკა განსაზღვრავს ეკონომიკას	მოვლენები ვითარდება პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედებით

რეალისტები ფიქრობენ რომ სიტემის სტრუქტურა განისაზღვრება სახელმწიფოებს შორის რესურსების გადანაწილებით. საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა დამოკიდებულია გარკვეულ სახელმწიფოებზე, რომლებიც ფლობენ გაცილებით უფრო მეტი ზეგავლენის შესაძლებლობას ვიდრე სხვა სახელმწიფოები. ითვლება რომ, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ევროპული სახელმწიფოებრივი სისიტემა მრავალპოლარული იყო, ხოლო მის ფარგლებში ხუთი ძირითადი სახელმწიფო - დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, პრუსია და ავსტრია-უნგრეთის იმპერია - ერთმანეთში მეტოქეობდნენ ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად. მოგვიანებით, ცივი ომის პერიოდში, როდესაც ორი სახელმწიფო (ზესახელმწიფო) დომინირებდა საერთაშორისო პოლიტიკაში, საერთაშორისო სისტემა ითვლებოდა ბიპოლარულად. ცივი ომის დამთავრების შემდეგ, საერთაშირისო სისტემის სტრუქტურა ხასიათდება ან როგორც ერთპოლარული, რომლის ფარგლებშიც შეერთებული შტატები დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, ან მრავალპოლარული, სადაც შეერთებული შტატები დგანან სხვა სახელმწიფოების წინ (რუსეთი, ჩინეთი, იაპონია ან თუნდაც „ევროპა", წარმოდგენილი ევრო-კავშირით ან თუნდაც „ევროპა" დიდი ბრიტანეთისა, საფრანგეთისა და გერმანიის შემადგენლობით), ან როგორც სისტემა, რომელიც იმყოფება გარდამავალ პერიოდში ერთპოლარული სტრუქტურიდან მრავალპოლარულისაკენ.

როგორც წესი, ლიბერალები გვთავაზობენ თანამედროვე სისტემის უფრო დახვეწილ და რთულ კონცეფციას. მსოფლიო არა უბრალოდ ერთპლარული, ბიპოლარული ან მრავალპოლარულია. ჯოზეფ ნაის აზრით „ძალაუფლება ხდება სულ უფრო მრავალმიმართულებიანი, სტრუქტურები - უფრო რთულნი, ხოლო სახელმწიფოები უფრო გავლენას დაქვემდებარებულნი. ეს დამატებითი სირთულე ნიშნავს, რომ ამჟამად მსოფლიო წესრიგი უნდა დაეყრდნოს არა მხოლოდ ტრადიციულ ძალთა ბალანსს".[7] ნაი გვთავაზობს, რომ განვიხილოთ ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო სისტემა ფენებად. ზედა ფენა - სამხედრო, და ამიტომაც ერთპოლარული, რადგანაც შეერთებული შტატები წარმოადგენენ ერთადერთ სრულფასოვან სამხედრო ზესახელმწიფოს (ზესახელმწიფოს ოთხი ძირითადი ნიშანი: სამხედრო უპირატესობა, ეკონომიკური უპირატესობა, საინფორმაციო უპირატესობა და იდეოლოგიური უპირატესობა). მეორე ფენა

ეროვნული ინტერესების მატრიცა

ინტერესების სიმწვავის დონე

ეროვნული ინტერესების ძირითადი შემადგენლები	გარდაუვალი (კრიტიკული)	საციცოცხლო (საშიში)	მნიშვნელოვანი (სერიოზული)	პერიფერიული
სამშობლოს დაცვა				
ეკონომიკური კეთილდღეობა				
კეთილმოსურნე საერთაშორისო მხარდაჭერა ინტეგრირება				
ღირებულებათა მხარდაჭერით *				

[7] *Joseph S. Nay. "What is the New World Order?" in Foreign Affairs, Vol. 71, 1992*

* *ეროვნული ღირებულებების დაცვა, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა.*

ბიულეტენი №53 აპრილი 2001 წ.

წარმოადგენს ეკონომიკურს, რომელიც სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული სამპოლარიანია. ხოლო ბოლო არის ურთიერთდამოკიდებულების ტრანსნაციონალური ფენა, რომელიც ძალაუფლების განფენასა და ფრაგმენტაციას ირეკლავს. ზუსტად აქ ვლინდება „გადამკვეთი საზღვრები და ეროვნულ სახელმწიფოებისაგან არაკონტროლირებადი ტრანსნაციონალური ურთიერთობები, რომელშიც ჩართულნი არიან სრულიად სხვადასხვა მონაწილეები, ბანკირებიდან ტერორისტებამდე."[8]

ლიბერალებისგან განსხვავებით, რომელთაც აქცენტი რეგიონალურ კონფლიქტებსა და სახელმწიფოებს შიგნით პრობლემებზე გადააქვთ, რეალისტები უფრო შეწუხებულნი არაინ ზესახელმწიფოებს შორის ომის პრობლემებით, თვლიან რა რომ საბოლოო ჯამში ბიპოლარული სისტემები უფრა სტაბილურია ვიდრე მრავალპოლარული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალისტების აზრით ორ ზესახელმწიფოს შორის კონფლიქტის ხასიათი უფრო გამჭვირვალე და პროგნოზირებადია ვიდრე სამი ან მეტი მონაწილის შემთხვევაში.

გავეცანით რა საერთაშორისო ურთიერთობების გარშემო შექმნილი დებატები, დროა განვიხილოთ უსაფრთხოების კონცეფციის მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტის - ეროვნული ინტერესების არსი და მათი ფორმულირების გზები, რადგანაც, როგორც უკვე ვნახეთ, ზუსტად ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოედგებს უსაფრთხოების უპირველეს მიზანს. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ გამოვკვეთოთ რამდენიმე პარამეტრი საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებესთან დაკავშირებით წარმოდგენილი სქემა აკონკრეტებს ეროვნული ინტერესების პრაქტიკულ ფორმულირებას. რა თეორიულ მიმართულებაზეც არ უნდა იყოს დამყარებული პოლიტიკოსთა მიდგომა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნებისათვის, მათ მოუწევთ დაეყრდნონ ამდაგვარ მოდელს.

განვიხილოთ ზოგიერთი სპეციფიკა ეროვნული ინტერესების გააზრებისათვის:

„გადარჩენის" ინტერესები ვლინდება იშვიათად და იოლად აღსაქმელია. ეს გულისხმობს როდესაც სამშობლოს წინაშე წრმოიშვა მსხვილმაშტაბიანი ნგრევის საფთხე, რაც მტერისახელმწიფოს წინააღმდეგ დაუყონებლივ კონტრზომების მიღებას საჭიროებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს სამხედრო ინტერვენციასთან საქართველოს წინააღმდეგ.

„საციცოხლო" ინტერესები ძირითადად განსხვავდება „გადარჩენის" ინტერესებისაგან დროის ხანგრძლივობით, რომლის განვმალობაშიც ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს თუ როგორი იქნება მისი პასუხი საგარეო მუქარაზე. სამშობლოს დაცვის გარდა, სასიცოცხლო ინტერესები შეიძლება ეხებოდეს ეკონომიკას, რეგიონალურ წესრიგს და იდეოლოგიას (ტრადიციულს ან სისტემურს). მაგრამ, საფრთხე სასიცოცხლო ინტერესებისა განპირობებულია პოტენციური ან ალბათობითი და არა უშუალო საფრთხეებით. პოლიტიკოსებს აქვთ დრო მიიღონ მოწინააღმდეგის გამაფრთხილებელი დიპლომატიური, სამხედრო თუ ეკონომიკური ზომები, რომ აღნიშნულმა კურსმა შეიძლება ომის საშიშროება შექმნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საფრთხე იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ომის აცილებისათვის ქვეყანა კომპრომისზე არ წავა.

„მნიშვნელოვანი" ინტერესები არის მნიშვნელოვანი და არა გადამწყვეტი ქვეყნის კეთილდღეობისათვის. ის დაკავშირებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პრობლემებსა თუ ტენდეციებთან, რომელთა გარშემო შესაძლებელია მოწინააღმდეგესთან მოლაპარაკებები. ასეთ საკითხებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოქმნან და საფრთხე შეუქმნან ჩვენს ინტერესებს საზღვარგარეთ. ამის ნათელი მაგალითია რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებული პრობლემები.

„პერიფერიული" ინტერესები არ წარმოადგენენ საფრთხეს თავად სახელმწიფოსთვის, მაგრამ შეუძლიათ მიაყენონ ზიანი ცალკეული, ქვეყნის გარეთ მყოფი მოქალაქეების ინტერესებს. მაგალითად, საქართველოს მოქალაქის დაპატიმრება ან მისი უფლებების შელახვა რომელიმე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედის ასეთი ინტერესების კომპეტენციაში. თუმცა ზემოაღნიშნულ შემთხვევებს აქვთ ძალიან ცოტა ან არავითარი პოლტიკური, ეკონომიკური, სამხედრო ან თუნდაც კულტურული მნიშვნელობა თავად სახელმწიფოსათვის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა შესაბამისი უწყებები ვალდებული არიან ყურადღებით მოეკიდონ ასეთ პრობლემებს.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ფორმირების საკითხები

ჩამოვყალიბდეთ მარტივად, საქართველოს ფუნდამენტალური ინტერესები მდგომარეობს მის მოქალაქეთა კეთილდღეობის, ტერიტორიის და ღირებულებების დაცვაში. საქართველოს ეროვნული ინტერესები შეგვიძლია განვასხვავოთ საზოგადოებრივი ინტერესებისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი, პირველ რიგში, დაკავშირებულია საზოგადოების შინაგან კეთილდღეობასთან. საზოგადოებრივი ინტერესები დაცული უნდა იყოს კანონთა ერთობლიობით და არჩევითი ოფიციალური პირები ვალდებულები არიან განახორციელონ მათი შესრულება. და პირიქით, ეროვნული ინტერესები დაკავშირებულია საგარეო გარემოცვასთან და სუვერენულ სახელმწიფოთა უმრავლესობა იტოვებს საბოლოო გადაწყვეტილების უფლებას თუ როგორ იმოქმედოს საერთაშორისო არენაზე - ან საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. საქართველოს კონსტიტუციური სისტემის მიხედვით პრეზიდენტის ძირითადი ვალდებულებაა პარლამენტთან კონსულტაციებითა და თანხმობით და მისივე ფინანსური მხარდაჭერით განსაზღვროს ეროვნული ინტერესები. მაშინ როდესაც საზოგადოებრივი ინტერესების განისაზღვრის ეროვნული უფლებამოსილება

[8] *Joseph S. Nay. "Conflicts after the Cold War", in Washington Quarterly, Vol. 19, 1996*

საქართველოს კონსტიტუციური სისტემის მიხედვით პრეზიდენტის ძირითადი ვალდებულებაა პარლამენტთან კონსულტაციებითა და თანხმობით და მისივე ფინანსური მხარდაჭერით განსაზღვროს ეროვნული ინტერესები

თავდაცვის
შემადგენელი
ნაწილები

**ეროვნული ინტერესების ერთიანობა, ინტერესების ფორმულირება, ინტერესების ფორმირების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ეტაპები, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორები, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორები, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორები, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმი, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმის ეფექტურობა, ეროვნული ინტერესების ფორმირების ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის ინდიკატორთა ანალიზის ინსტრუმენტარიუმ

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა რუსეთში მიმდინარე პროცესების ფონზე

ირაკლი ტორონჯაძე

იმის გათვალისწინებით, რომ „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელშეკრულება" კვლავ არ იქნა რატიფიცირებული რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ, საქართველოს ხელმძღვანელობამ შესთავაზა რუსეთის მხარეს „ჩარჩო" ხელშეკრულების ახალი პროექტის შემუშავება, მისი ხელმოწერის მიზნით. მხარეებს შორის არსებული მოლაპარაკების თანახმად, აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმება დაგეგმილია 2001 წლის პირველ კვარტალში.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, საინტერესოა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში დღევანდელ დღეს არსებული მდგომარეობის მოკლედ გადათვალიერება.

სამხედრო სფერო

1999 წელს სტამბოლში ხელმოწერილი ცნობილი შეთანხმების რეალიზაციის მიზნით, თბილისსა და მოსკოვში გაიმართა საქართველო რუსეთის სახელმწიფო დელეგაციების მოლაპარაკებათა ხუთი რაუნდი.

წლის ბოლოსათვის დასრულდა საქართველოდან ჭარბი სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების გაყვანის პროცესი (ახალქალაქი, გუდაუთა, ვაზიანი, ბათუმი), რითაც რუსეთმა შეასრულა სტამბოლის შეთანხმების ამ ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებები.

საქართველოს ტერიტორიიდან ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების გაყვანის ვადების შეთანხმება ჯერ-ჯერობით ვერ იქნა მიღწეული. დღეისათვის ამ საკითხის მიმართ რუსეთის პოზიციამ (ახალქალაქსა და ბათუმში რუსეთის სამხედრო ბაზების 15 წლის ვადით დისლოცირება) შესაძლოა ჩიხში მოაქციოს სტამბოლის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის პროცესი.

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გასვლის საკითხი მტკივნეულად აღიქმება რუსეთის ხელისუფლების ეშელონებში, რაც შესაბამისად ხელს უწყობს ურთიერთობებში არსებული ნეგატიური ფონის გაძლიერებას.

სავიზო რეჟიმი

რფ-ში მყოფი ქართული მოსახლეობის, ლტოლვილების და სხვა კატეგორიის პირების, აგრეთვე, საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ყოფნის პირობების განსაზღვრის მიზნით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ა.წ. 1 მარტამდე შემოღებულ იქნა ე.წ. საადაპტაციო პერიოდი.

მიუხედავად რუსეთის მხარის მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებებისა, რომელთა თანახმად აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან უვიზო რეჟიმის შენარჩუნება ჰუმანიტარული მოსაზრებებით არის ნაკარნახევი, აღნიშნული რეგიონიდან ლტოლვილ მოსახლეობაზე არ ვრცელდება არანაირი შეღავათები.

გასული წლის განმავლობაში ჩატარებული მოლაპარაკებების მიუხედავად, ხსენებული და რიგი სხვა პრობლემების გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის ავტორიტეტი გარკვეულად შეილახა. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული სახელმწიფოების მიერ გაკეთებულ განცხადებებში უარყოფითად შეფასდა რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილება საზღვრისპირა რეგიონებთან უვიზო რეჟიმის შენარჩუნების შესახებ.

აფხაზეთის საკითხი

გასული წლის განმავლობაში აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში დადებითი ძვრები არ შეიმჩნეოდა. კერძოდ:

კვლავ არ შესრულდა დსთ-ს ფარგლებში ადრე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები.

წლის განმავლობაში გამართულ დსთ-ს სახელმწიფოთა მეთაურების სამიტებზე არ იქნა მიღებული არც ერთი ახალი გადაწყვეტილება, ვინაიდან ოპერატიული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში (რუსეთის დელეგაციის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო) ვერ მოხერხდა საკითხის სათანადო შეთანხმება და მისი გატანა ხსენებულ სამიტებზე.

თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო

უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პროექტის მიმართ რუსეთის მხარის მიერ დაკავებულმა არაკონსტრუქციულმა პოზიციამ პრაქტიკულად შეაჩერა პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მუშაობა.

თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილების გამიჯვნის თაობაზე გაერო-ს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის პროექტის მიმართ რუსეთის მხარის მიერ დაკავებულმა არაკონსტრუქციულმა პოზიციამ პრაქტიკულად შეაჩერა პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მუშაობა.

მოვლენათა განვითარების დინამიკა ცხადყოფს, რომ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის მხარის მიდგომებში და ცალკეულ ქმედებებში სულ უფრო მეტად შეიმჩნევა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც აშკარად ეწინააღმდეგება ქვეყნის ოფიციალურად გაცხადებულ პოზიციას. კერძოდ:

- რფ-ის მიერ ცალსახად შემოღებული სავიზო რეჟიმი, რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან პრაქტიკულად უვიზო მიმოსვლას;
- აფხაზეთის მიმართ ეკონომიკური რეჟიმის შერბილება, რამაც გარკვეული პოზიტიური ელემენტები წარმოშვა ამ რეგიონის ეკონომიკაში, კერძოდ ტურიზმის სფეროში.

მონაცემები ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ

2000 წელს რფ-თან საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 158,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 10,3%-ით მეტია.

ცნობისათვის, 2000 წელს საქართველოს მთლიანმა საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1030,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 122,6%-ია. საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის მოცულობიდან რუსეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი წინა წელთან შედარებით შემცირდა 4,6%-ით.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოსათვის ყველაზე მსხვილ სავაჭრო პარტნიორების ათეულს სათავეში პირველად ჩაუდგა თურქეთი (სავაჭრო ბრუნვა 182,2 მლნ. აშშ დოლარი, მთლიან სავაჭრო ბრუნვაში წილი - 17,7%, წინა წელს ეს მაჩვენებლები უდრიდა 110,9 მლნ. აშშ დოლარს და 13,2%-ს), ხოლო რფ-სთან სავაჭრო ურთიერთობამ მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის მოცულობამ 68,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით 14,8 მლნ. აშშ დოლარით მეტი. ხოლო იმპორტის მოცულობამ 90,2 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, ანუ წინა წელთან შედარებით 8,8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები. უარყოფითი სალდო 22,1 მლნ. აშშ დოლარის ტოლია (ცნობისათვის, 1999 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 54,5 მლნ. აშშ დოლარს უდრიდა).

რუსეთის საგარეო პოლიტიკა

რუსეთის ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გადახედა თავის პოზიციას დსთ-სთან მიმართებაში. წინა ხედვისაგან განსხვავებით, დღეს იგი ცდილობს (როგორც თანამეგობრობის ცალკეულ სახელმწიფოებთან, ასევე მთლიანობაში დსთ-სთან) ააგოს ისეთი ურთიერთობები, რომელთა საფუძველს პრაგმატიზმი წარმოადგენს.

შესაბამისად რუსეთმა დაიწყო ახალი საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომლის ძირითად პრიორიტეტებად გვესახება:

პრაგმატული და ხისტი მიდგომის განხორციელება, რომლის ამოსავალ წერტილს რუსეთის ეროვნული ინტერესები წარმოადგენს (განსაკუთრებული აქცენტი ეკონომიკაზე იქნება გადატანილი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

- რუსეთი მიმართავს თავის ძალისხმევას ახლად შექმნილი ევროაზიური კავშირის განმტკიცებისაკენ, ახალი „სიმძიმის ცენტრის" ჩამოყალიბების მიზნით, რისი გაკეთებაც მან 90-ან წლებში ვერ შესძლო დსთ-ს ფარგლებში;
- ამავდროულად იგი შეეცდება კიდევ უფრო გააძლიეროს ზეწოლა სუუამ-ის ცალკეულ სახელმწიფოებზე, მათი ევრაზიულ კავშირში ინტეგრირების მიზნით;

ამ მიმართულებით რუსეთმა უკვე გადადგა ცნობილი ნაბიჯები და ნაწილობრივ აამოქმედა შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხასიათის ბერკეტები.

ევროკავშირი

საგარეო პოლიტიკის კონცეფციის თანახმად ევროკავშირს რუსეთი განიხილავს, როგორც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორს და შესაბამისად იგი ისწრაფვის განავითაროს მასთან ინტენსიური და გრძელვადიანი თანამშრომლობა.

ამავე დროს რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ხელს უშლის ევროკავშირის გაფართოება, მისი გადაწყვეტილება სამხედრო სტრუქტურების შექმნის თაობაზე (1999 წლის ჰელსინკის სამიტი), კრიზისულ სიტუაციებზე კომპლექსური რეაგირება, განსხვავებული მიდგომები ბალკანეთზე შექმნილი ვითარების მიმართ, ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ევროკავშირის ცალსახა პოზიცია. აგრეთვე, ევროკავშირის მიერ

დაწესებული შეზღუდვები ევროპის ბაზარზე რუსეთის ექსპორტის მიმართ და მისი თავშეკავებული პოზიცია რუსეთში მსხვილი ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებით (ევროკავშირი არასაკმარისად მიიჩნევს ქვეყანაში განხორციელებულ საკანონმდებლო და ეკონომიკურ რეფორმებს).

ეუთო-ს რუსეთი ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილავს. ამასთანავე, მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში რუსეთსა და ეუთო-ს განსხვავებული პოზიციებიი აქვთ. კერძოდ, რუსეთი უარყოფითად აფასებს ეუთო-ს მცდელობას უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს შიდასახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში (ბალკანეთი, დსთ), ასევე მეტი ყურადღებით მოეკიდოს ჰუმანიტარულ და სამართლებრივ საკითხებს (კოსოვო, ჩრდილოეთ კავკასია). ეუთო-ს აღნიშნული ინტერესი რუსეთის მიერ აღიქმება, როგორც ცალკეულ რეგიონებში დასავლეთის ექსპანსია და სახელმწიფოების შიდა საქმეებში ჩარევა.

ნატო-სთან ურთიერთობების შემდგომ განვითარებას რუსეთი განიხილავს მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალიების ჩამოყალიბების ჭრილში. ალიანსთან რუსეთის ურთიერთობებში არსებობს პრინციპული ხასიათის ცნობილი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა, რუსეთის აზრით, შესაძლებელია შემდეგი პირობებით:

უსაფრთხოების საკითხებში გაერო-ს, ეუთო-სა და რეგიონალური ორგანიზაციების როლის ამაღლება, რაც პირველ რიგში უნდა ითვალისწინებდეს ალიანსის ნებისმიერი გადაწყვეტილების მათთან შეთანხმების აუცილებლობას.

ნატო-ს გაფართოების პროცესი არ უნდა შეეხოს ე.წ. „წითელ ზოლში“ განლაგებულ - ყოფილ სსრკ-ს რესპუბლიკებს.

ჯერ კიდევ ბ. ელცინის პრეზიდენტობისას შეიმჩნეოდა აზიურ სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების კურსის განხორციელების მცდელობა, რამაც იმ პერიოდში ვერ ჰპოვა პოლიტიკური ელიტის სათანადო მხარდაჭერა. დღეს რუსეთის ახალი ხელმძღვანელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებს ამ მიმართულებით აქტიური პოლიტიკის გატარებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რუსეთმა გადადგა ნაბიჯები ირანთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის აღდგენის თვალსაზრისით.

ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების ფონზე რუსეთი აქტიურად ჩაერთო რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობაში. უსაფრთხოების განმტკიცების საკითხებში რუსეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „შანხაის ხუთეულის“ საქმიანობის აქტივიზაციას. გარკვეულ იმედებს იგი ამყარებს დსთ-ს ფარგლებში ახლად შექმნილი ევრაზიუმი ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაზეც.

გაერო-სთან მიმართებაში რუსეთის პოზიცია დაფიქსირდა ამ ორგანიზაციის ათასწლეულის სამიტზე. რუსეთის ძირითადი კონცეფცია ითვალისწინებს ამ ორგანიზაციის ნაწილობრივ რეფორმირებას, რომელიც უნდა განხორციელდეს გაერო-ს წესდებაში ჩამოყალიბებული საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების ურყეობის საფუძველზე.

რუსეთი შესაძლებლად მიიჩნევს გაერო-ს უშიშროების საბჭოს გაფართოებას, თუ დაცული იქნება რეგიონალური მიდგომა. იმ შემთხვევაში, თუ ამ პრინციპის თანახმად გაზრდება საბჭოს წევრთა რაოდენობა, რუსეთი შესაძლებლად მიიჩნევს ვეტო-ს ნაცვლად მაქსიმალური კონსენსუსის პრინციპის შემოღების საკითხის განხილვას.

რუსეთის ეკონომიკური სიტუაცია

2000 წელს რუსეთის ეკონომიკაში შეიმჩნეოდა დადებითი ტენდენციები, მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 107,7%-ით. ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარება ძირითადად განპირობებული იყო სამრეწველო პროდუქციის ზრდით, იგი გაიზარდა 109%-ით და ზრდის ტემპმა 9%-ს მიაღწია. გამოშვებულია 4762,5 მლრდ. მანეთის სამრეწველო პროდუქცია.

იანვარ-სექტემბერში ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებმა შეადგინა 1395,9 მლრდ. მანეთი, რაც მშპ-ის 28,4%-ია. გასავალმა შეადგინა 1204,8 მლრდ. მანეთი, ანუ მშპ-ის 24,5%, ბიუჯეტის პროფიციტმა შეადგინა 191,1 მლრდ. მანეთი, მშპ-ის 3,9%. ბიუჯეტის შესრულების ასეთი მაღალი დონე არ დაფიქსირებულა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე.

სოფლის მეურნეობაში ზრდის ტემპმა შეადგინა 5%, დამზადებულია 844,9 მლრდ. მანეთის პროდუქცია, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის 105%-ია. ინვესტიციებმა ძირითად კაპიტალში 1171,5 მლრდ. მანეთი შეადგინა და გაიზარდა 17,7%-ით. სამომხმარებლო ფასების ინდექსი 1999 წლის დეკემბერთან შედარებით დეკემბერში გაიზარდა 20,2%-ით. მოსახლეობის შემოსავლები გაიზარდი 9,1 %-ით, საშუალო ხელფასი 22,5%-ით. უმუშევართა რაოდენობა შემცირდა 1 მილიონამდე, რამაც წინა წლის 82,1% შეადგინა. საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 134,4 მლრდ. დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებლის 110,9%-ია. ექსპორტმა შეადგინა 94,9 მლრდ. დოლარი, იმპორტმა 39,5 მლრდ. დოლარი. დადებითმა სალდომ 55,4 მლრდ. დოლარი შეადგინა.

გასულ წელს სტაბილური იყო ინფლაციის დონე, ასევე, მანეთის კურსი.

რუსეთის ეკონომიკის ზოგადო ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ 2001 წელს ძირითადად მოსალოდნელია მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შენარჩუნება.

კასპიის მილსადენის კონსორციუმი შეიქმნა 1992 წელს ყაზახეთისა და ომანის მიერ თენგიზის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გატანის მიზნით (კონსორციუმი რეგისტრირებულია ბერმუდის კუნძულების ოფშორულ ზონაში). რამდენიმე თვეში მას შეუერთდა რუსეთის ფედერაცია, რომლის მეცადინეობით კონსორციუმმა შემდგომში განიცადა მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. ახალი გადანაწილებით, კონსორციუმის წილი სანახევროდ გამოეყო ერთი მხრივ-სახელმწიფოებს, ხოლო მეორე მხრივ-კომპანიებს. სახელწიფოებზე გამოყოფილი ქვოტა განაწილდა შემდეგნაირად: რუსეთის ფედერაციას - 24%, ყაზახეთს - 19% და ომანს - 7%. კონსორციუმში კომპანიებზე გამოყოფილი კვოტის 15% დაეთმო თენგიზის ნავთობის ერთ-ერთ უმსხვილეს მომპოვებელს - „შევრონს“, 12,5% - „ლუკოილს“, 7% -„როსნეფტს“, 1,2% „ბობილს“, „შელს“ და ა.შ. (სულ სხვადასხვა ქვეყნის ათამდე კომპანია). ზემოაღნიშნული დანაწილების შედეგად რუსეთის ფედერაციის წილმა (სახელმწიფოსი და კომპანიებისა ჯამში) შეადგინა 44%. საკმაოდ დიდი საერთო წილი აგრეთვე ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიებსაც.

რეორგანიზაციის შედეგად, მოხერხდა ნავთობის ტრანსპორტირების მარშრუტის ერთგვარი კორექტირება და დამტკიცდა შემდეგი მიმართულება: თენგიზი-კომსომოლსკოე (ასტრახანის მახლობლად მდებარე)-ნოვოროსიისკი. აქედან გამოყენებულ იქნა 80 წლებში ყაზახეთიდან ასტრახანამდე აგებული მილსადენი (780 კმ), ხოლო დანარჩენი, ანუ ნოვოროსიისკამდე დამაკავშირებელი ტრასის მონაკვეთი, ახლიდან აშენდება. რუ-ს ტერიტორიაზე ასაგები მილსადენის მშენებლობას მოხმარდება 2,5 მლრდ. აშშ დოლარის უცხოური ინვესტიციები.

კონსორციუმი 1996-97 წლებში გარდაიქმნა რუსეთის ფედერაციაში დარეგისტრირებულ იურიდიულ პირად. პირველ ეტაპზე მილსადენით ნავარაუდევია წელიწადში 28,2 მლნ. ტონა ნავთობის გატარება, ხოლო შემდგომში 67 მლნ. ტონამდე აყვანა. რუსეთის მხარეს აღნიშნული პროექტის რეალიზაცია მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია. მისი მიმზიდველობა, კონონომიკური მაჩვენებლების გარდა (საგადასახადო შემოსავლების სახით ნავარაუდევია სახელმწიფოს სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში ჯამურად 28,4 მლრდ. აშშ დოლარის თანხის შემოსვლა, ხოლო 5,5 მლრდ. აშშ დოლარის - დივიდენდების სახით), განპირობებულია გეოპოლიტიკური ფაქტორებითაც.

ეჭვს არ იწვევს, რომ აღნიშნული პროექტი, თურქეთში ბუნებრივი აირის მიწოდების „ცისფერ ნაკადის“ პროექტთან ერთად, წარმოადგენს ერთიანი გეოპოლიტიკური გეგმის ნაწილს.

პროექტთან დაკავშირებული სხვა საკითხების, უპირველეს ყოვლისა ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით, მოსალოდნელი იყო სხვადასხვა სახის გართულებები (მილსადენის ტრასა კვეთავს სხვადასხვა სიდიდის 11 მდინარეს, მათ შორის მდინარე ვოლგას და ა.შ.) მიუხედავად ამისა, პროექტის რეალიზაცია საკმაოდ უმტკივნეულოდ განხორციელდა. გარკვეულ პერიოდებში მილსადენის აგების ტემპები წარმოადგენდა 100 კილომეტრს თვეში, რაც თავისთავად შთამბეჭდავია. 2001 წლის დასაწყისისათვის მილსადენის მშენებლობა პრაქტიკულად დასრულდა, მისი ამოქმედება ნავარაუდევია 2001 წლის პირველ კვარტალში.

რუსეთის შიდა პოლიტიკა

2000 წელს რუსეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ დღის წესრიგში უმთავრეს პრიორიტეტად იქცა ხელისუფლების ცენტრალიზაცია. კერძოდ, ამ მიზნით:

რფ დაიყო შვიდ ოკრუგად, რომელთა ხელმძღვანელობა დაეკისრა პრეზიდენტის რწმუნებულებს, რამაც შეზღუდა გუბერნატორების მოქმედების არეალი და ეჭვქვეშ დააყენა (არსებული ფორმითა და ფუნქციებით) ამ ინსტიტუტის ავტორიტეტი. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების თანახმად, მისი რწმუნებულების უფლებამოსილების გაფართოების პარალელურად, ყალიბდება სათათბირო ფუნქციების მქონე ორგანო- სახელმწიფო საბჭო, რომელშიც გუბერნატორები იქნებიან წარმოდგენილნი.

მომზადდა პრეზიდენტის რეფორმების „ფედერალური პაკეტი“, რომელიც ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლების ვერტიკალის განმტკიცების პროცესში მონაწილე პირთა რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანას, ერთიანი ვერტიკალური შიდა საკანონმდებლო სივრცის განმტკიცებას და სხვა.

მთავრობის მეთაურის ინსტიტუტის შესუსტების ფონზე, განმტკიცდა უშიშროების საბჭოს ადგილი და როლი:

➢ მასმედიაზე კონტროლის დაწესების მიზნით ე.წ. ოლიგარქებზე განხორციელდა სერიოზული ზეწოლა, რომელმაც უკვე გამოიღო გარკვეული შედეგები („ორტ“-ბერეზოვსკი, „ნტვ“-გუსინსკი);

➢ მზადდება პროექტი რფ-ის სუბიექტების გამსხვილების თაობაზე;

➢ პარლამენტში საპრეზიდენტო პარტიისა (ედინსტვო) და ჯგუფის (ნაროდნი დეპუტატ) ჩამოყალიბება.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის პრეზიდენტ ვ. პუტინს მხარს უჭერს საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების აბსოლუტური უმრავლესობა.

პარლამენტის ერთგულება პრეზიდენტისადმი უმთავრესად უკავშირდება როგორც ვ.

პუტინის ხისტ პოლიტიკას ჩეჩნეთის მიმართ, ასევე სახელმწიფოში მკაცრი წესრიგის დამყარების მცდელობას. დემოკრატიის პირობებში საპრეზიდენტო ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული სახელმწიფო სათათბიროში პრეზიდენტის მხარდამჭერთა უმრავლესობის ჩამოყალიბებაზე. ამ მიზნით პრეზიდენტი მოუწოდებს სამმარტიანი სისტემის ჩამოყალიბებისაკენ, რაც შედარებით გააიოლებს პარლამენტისა და საერთოდ შიდაპოლიტიკური პროცესების მართვას.

პრეზიდენტის მხარდამჭერი საპარლამენტო უმრავლესობის შექმნა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად მოხერხდება ცენტრისტული და მემარცხენეთა ძალების კონსოლიდირება და ვინ ჩაუდგება (ერთი და მეორე მხრიდან) ამ ძალებს სათავეში.

საპრეზიდენტო ფრაქცია „ედინსტვო“ (ცენტრი) პრეზიდენტის გარეშე არ წარმოადგენს რაიმე დამოუკიდებელ და სერიოზულ ძალას. შესაბამისად, მას ახალი და ძლიერი მოკავშირე სჭირდება. ბუნებრივია, რომ ასეთი მოკავშირე ცენტრისტებისა და მემარცხენეთა ბანაკებში უნდა მოიძებნოს, რადგან დემოკრატიის ელემენტების შენარჩუნების მიზნით, მომავალში ძლიერ უმრავლესობას ოპოზიციის სახით მემარჯვენეთა ფრთა მოევლინება.

დღეისათვის პრაქტიკულად დასრულდა სპსა და იაბლოკო-ს გაერთიანება. ამ მოვლენამ გამოიწვია მემარცხენეთა ბანაკში კარდინალური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. მემარცხენეთა ავანგარდმა-კპრფ-მა (ლიდერი გ. ზიუგანოვი) უკანასკნელი წლების განმავლობაში გარკვეულწილად დათმო ლიდერობა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან ამ ეტაპზე უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. შესაბამისად, პოლიტიკურ ასპარეზზე მემარცხენეთა ბანაკში ახალი ძალის წარმოჩენა გარდუვალი ხდება.

20 სექტემბერს მოხდა რფ-ის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის გ. სელეზნიოვის მეთაურობით ახალი მოძრაობის „როსიას“ რეგისტრაცია, რითაც რუსეთის მემარცხენე ფრთას შეემატა კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება.

რფ-ის პოლიტიკურ ძალთა სპექტრში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრიმაკოვ-ლუჟკოვის ბლოკს (ოვრ). აღსანიშნავია, რომ ხსენებული ფიგურების პოლიტიკური კავშირი შეიქმნა საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში. უკანასკნელ ხანს მიმდინარე ცნობილმა მოვლენებმა ცხადყო, რომ პრეზიდენტსა და ქალაქის მერს შორის ურთიერთობების გამწვავება სულ უფრო აშკარა ხდება, რაც სავსებით პროგნოზირებადი იყო, რადგან ხელისუფლების ახალი ვერტიკალის განმტკიცების პროცესი პოლიტიკური არენიდან ძლიერი და არასასურველი ფიგურების ჩამოშორებას ითვალისწინებს. თუ გავითვალისწინებთ საპრეზიდენტო ხელისუფლებასთან ე. პრიმაკოვის დაახლოებას, მოსალოდნელია ამ უკანსკნელის დისტანცირება ი. ლუჟკოვისაგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სავარაუდოა მოვლენათა განვითარების შემდეგი პერსპექტივა:

➢ გაერთიანება „როსია“ (ან მისი ლიდერი) ახლო მომავალში მოგვევლინება მემარცხენე ცენტრისტული ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობის მაკონსოლიდირებელ ძალად, რომელიც დააჩქარებს მემარცხენე ძალების გამიჯვნისა და ქვეყანაში ორ ან სამმარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესს;

➢ პრეზიდენტის მხარდამჭერი ძლიერი უმრავლესობის შექმნა;

➢ საპრეზიდენტო-აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერით განხორციელებული ზენოლა გამოიწვევს შესაბამისი ძალების (ცალკეული პოლიტიკური ფიგურების, რეგიონების ლიდერების, „ოლიგარხების“, მასმედიისა და სხვა) ადეკვატურ რეაქციას;

➢ თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეისათვის მემარჯვენეთა ბანაკი საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობს, ხოლო რეგიონალური დონის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა კონსოლიდაცია და მემარჯვენეებთან კავშირი ნაკლებად სავარაუდოა, სპს-იაბლოკოს ალიანსი ალბათ თავს აარიდებს ოპიზიციის ავანგარდში მოქცევასა და ხელისუფლებასთან აშკარა დაპირისპირებას. თუმცა, დაპირისპირების გამწვავება შესაძლოა მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხრივ ხელისუფლება სათანადოდ ვერ მოზომავს ზენოლის დონეს და მეორე მხრივ მის უკან მდგარ წრეებს სხვა ძალოვანი სტრუქტურა დაუპირისპირდება. სწორედ ამ შემთხვევაში მოსალოდნელია ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენა, რომელიც შემდგომში ნამდვილი ოპოზიციის ლიდერის როლს იკისრებს.

მოვლენათა განვითარების ახალ ეტაპს, ალბათ 2001 წლის გაზაფხული-შემოდგომის პერიოდში უნდა ველოდოთ.

რუსული მასმედია

უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლის განმავლობაში რუსეთის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა საქართველოს მიმართ, რაც, ერთი მხრივ აიხსნება ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენებით (საომარი მოქმედებები ჩეჩნეთში), აგრეთვე რუსეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის გარკვეული გამკაცრებით დასავლეთის ქვეყნების და მათი სამხედრო-პოლიტიკური ინსტიტუტების (ნატო, ეუთო) მიმართ.

საქართველოს მიმართ კვლავინდებურად ყველაზე მეტ ყურადღებას იჩენდნენ „ნეზავისიმაია გაზეტა“, „სეგოდნია“, „ვრემიამნ“ „„კომერსანტი“, „იზვესტია“, „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, „ნოვიე

იზვესტია“.

რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა საკმაოდ დიდი ყურადღება დაუთო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თემებს. მნიშვნელოვანი იყო ასევე პუბლიკაციების რაოდენობა სადაც საქართველოს ბრალს დებდნენ „ჩეჩენ ბოევიკებთან“ თანამშრომლობაში.

საქართველოს პოზიცია სასაზღვრო მონაკვეთში რეალურად არსებული ვითარების შესახებ აისახა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ვ. ჩხეიძესთან ინტერვიუში, რომელიც „ნეზავისიმაია გაზეტაში“ გამოქვეყნდა. საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობოდა რუსეთის შეიარაღების გაყვანას საქართველოდან სტამბოლის მოლაპარაკებების ფარგლებში, გენერალ ტროშევის ვიზიტს საქართველოში. ასევე, საქართველოსა და რუსეთს შორის საავიო რეჟიმის შემოღების პერსპექტივებს.

რუსეთის პრესაში საქართველოს მოვლენების გაშუქებისას, ნატო-საქართველოს ურთიერთობები სექტემბრის თვის ერთ-ერთი ცენტრალური თემა იყო. კერძოდ, გაშუქდა ნატო-ს წარმომადგენლის ჯ. ლამბარკასის ვიზიტი საქართველოში პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში და განსაკუთრებით ალიანსის გენერალური მდივნის ჯ. რობერტსონის სტუმრობა თბილისში. ამ თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რიგი ანალიტიკური მასალებისა.

პუბლიკაციების რაოდენობამ კულმინაციას სწორედ ჯ. რობერტსონის საქართველოში ვიზიტის დროს მიაღწია. რუსეთის პრესა სხვადასხვა ინტერპრეტაციებით აკეთებდა შეფასებებს, თითქოს რუსეთის სამხედრო მონაწილეობის შესუსტება საქართველოში კარდინალურად ცვლის ძალთა პარიტეტს კავკასიაში ნატო-ს სასარგებლოდ და რუსეთის საზიანოდ. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პერიოდში საქართველოს ოფიციალურმა პოზიციამ ასახვა ჰპოვა რუსეთის საინფორმაციო საშუალებებში - ვიზიტის შედეგების ანალიზს მიეძღვნა ტელეკომპანია „ტვც“-ს პროგრამა „დღის თემა - აქტუალური ინტერვიუ“ (პირდაპირი ეთერით გადაიცემა), რომელშიც საქართველოს პოზიცია ალიანსთან თანამშრომლობის შესახებ განმარტა ელჩმა ზ. აბაშიძემ.

დსთ-ს ქვეყნებში მიმდინარე პროცესების ანალიზს რუსეთის პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის პრესაში მკაფიოდ აისახა მზარდი ზეწოლა, რომელსაც ოფიციალური მოსკოვი ანხორციელებდა უკრაინის მიმართ. პუბლიკაციების რაოდენობა წლის განმავლობაში ზრდის ტენდენციით აღინიშნებოდა. წლის მეორე ნახევარში მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ პრესის ინტერესის მთავარ ობიექტს უკრაინის პრეზიდენტი ლ. კუჩმა წარმოადგენდა.

ქვეყანაში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ფონზე უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი რუსეთში პრესამ შეაფასა, როგორც კომპრომისებისათვის უკრაინის მზადყოფნის გამოხატულება.

მოლდოვაში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას რუსეთის პრესა წლის მანძილზე განსხვავებული მიდგომით გამოირჩეოდა. საკმაოდ დიდი და მხარდამჭერი გამოხმაურება მოჰყვა ტირასპოლში დნესტრისპირელი, ყარაბახის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის სეპარატისტების ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას.

შემდგომ, მოლდოვასთან მიმართებაში რუსეთის პრესამ აქცენტი შეცვალა და წინა პლანზე ქვეყნის შიდაპოლიტიკური პროცესების გაშუქების თემა წამოწია. მასმედიის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საპარლამენტო რესპუბლიკის სტატუსის შემოღება, ქვეყნის მომავალი ლიდერის ვინაობა.

წლის მეორე ნახევარში პრესის ინტერესების ვექტორი აზერბაიჯანის მიმართ თანმიმდევრულად შეიცვალა. ანალიტიკოსების შეფასებით პრესის გარკვეულმა ნაწილმა სარკისებურად ასახა რუსეთის ხელისუფლების განწყობა აზერბაიჯანის მიმართ. რუსეთის პრესის უდიდესი ნაწილის შეფასებით ბაქოში გაგებით მოეკიდნენ მოსკოვის მოწოდებას არ დაეხმარონ ჩეჩენ ბოევიკებს, რამაც დიდი მნიშვნელობა იქონია რუსეთის გადაწყვეტილებაზე აზერბაიჯანთან უვიზო რეჟიმის შენარჩუნების თაობაზე.

რუსეთის პრესა ტრადიციულად დიდ ყურადღებას ანიჭებდა სომხეთის თემას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წლის მანძილზე პუბლიკაციების რაოდენობა და შინაარსი ზომიერებით გამოირჩეოდა. პრესის დიდი ინტერესი გამოიწვია პრეზიდენტ ვ. პუტინის მიერ გაკეთებულმა შეფასებამ პრეზიდენტ რ. კოჩარიანთან გამართულ ერთობლივ პრეს-კონფერენციაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ „არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოს დსთ-ს ფარგლებში რუსეთს კონფლიქტების მოგვარების რაიმე უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია. ეს იმპერიული აზროვნების გამოვლინებაა, რუსეთს არ აქვს უფლება ამგვარი საზომებით მიუდგეს კონფლიქტების დარეგულირების საკითხს...“

რუსეთის მასმედია დიდ ყურადღებას უთმობდა რუსეთის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხს, მისი დიპლომატიური ქმედებების ტაქტიკასა და სტრატეგიის ანალიზს. აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში გამოიკვეთა ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც კრიტიკულად აფასებდნენ პრეზიდენტ პუტინის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას. ესენია, უმთავრესად ტელეკომპანია „ნტვ“, რადიოსადგური „ეხო მოსკვი“, გაზეთები „სეგოდნია“,

„კომერსანტი“, „ნოვიე იზვესტია“.

რუსეთის პრესის ინტერესების ცენტრში ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სათათბიროს თემა პრევალირებდა. წლის უმთავრეს მოვლენას რუსეთის პრესისა და ხელისუფლების ურთიერთობები წარმოადგენდა.ამ მხრივ საინტერესო იყო მოვლენების განვითარების დინამიკა და თანმიმდევრობა. სერიოზული გამიჯვნის პროცესს ბიძგი „კურსკის“ ტრაგიკული ავარიის შეფასებებმა მისცა, რასაც პრეზიდენტ ვ. პუტინის მხრიდან საინფორმაციო საშუალებებზე მზარდი ზეწოლა მოჰყვა. საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა „ბერეზოვსკისა და გუსინსკის საქმეებმა“, ტელეკომპანია „ორტ“-ს საკონტროლო აქციების სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცესმა.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ის საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც პრეზიდენტის პოლიტიკას ოპოზიციაში ჩაუდგნენ, გამოთქვამენ მზადყოფნას ე.წ. პროქართული პოზიცია დაიკავონ - საქართველოს თემა ოპონენტის როლში მყოფი საინფორმაციო საშუალებებისათვის საკმაოდ მომგებიანია. ამ მიმართებით საჭიროა, რათა საქართველოს მიმართ სახელმწიფო ინტერესების ამსახველი პუბლიკაციები და სიუჟეტები არ აისახოს მხოლოდ ოპოზიციური პრესის ფურცლებზე და სატელევიზიო გადაცემებში. მომავალშიც აუცილებელია ბალანსის უზრუნველყოფა ოპოზიციურ და ხელისუფლების მხარდამჭერ საინფორმაციო საშუალებებს შორის.

ამ ეტაპზე რუსეთში პრეზიდენტ ვ. პუტინის ყველაზე ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალას სწორედ საინფორმაციო საშუალებები წარმოადგენენ. სავარუდოა, რომ 2001 წლის უმთავრესს მოვლენად სწორედ ოპოზიციურ პრესასა და პრეზიდენტს შორის ურთიერთობების შემდგომი გარკვევა იქცევა, რაც აქტიური საერთაშორისო ზეწოლის თანხლებით ხორციელდება.

რუსეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალები და ინფორმაციები თემატური თვალსაზრისით ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთი და საქართველოს დამოკიდებულება ჩეჩნეთის კონფლიქტის მიმართ;
- სტამბოლის ეუთო-ს სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ;
- საქართველოსა და რუსეთს შორის საავიო რეჟიმის შემოღების საკითხი.

გასული წლის სპეციფიკა დსთ-ს ქვეყნებში მიმდინარე მოვლენების ანალიზის მიმართებით იმით გამოირჩეოდა, რომ პუბლიკაციების ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოს მიეძღვნა, მეორე-მესამე ადგილზე უკრაინა და აზერბაიჯანი, შემდეგ კი მოლდოვა და სომხეთია.

პრესის საერთო შეფასებით, რუსეთის დიპლომატიური აქტიურობა გაიზარდა. ოპოზიციური პრესის აზრით, გამოიკვეთა საერთაშორისო პოლიტიკის გატარების „დერეკავული“ ამბიციები, რომელთა განსახორციელებლად რუსეთს რეალური ძალა არ შესწევს.

ქვეყნის შიგნით მიმდინარე ცენტრალიზაციის პროცესისა და გასულ წელს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ:

ხელისუფლებამ მიმართოს უფრო აქტიურ ქმედით ზომებს დსთ-ს სახელმწიფოებზე გავლენის გაძლიერების თვალსაზრისით, რაც, როგორც ჩანს, რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ელიტის საერთო ინტერესს წარმოადგენს. ამ პოლიტიკის წარმართვისას რუსეთი ამავე დროს იხელმძღვანელებს საკუთარი ეროვნული, უპირველეს ყოვლისა კი ეკონომიკური ინტერესებით. ეკონომიკური პრიმატი, როგორც სჩანს, რუსეთის ახალი ხელისუფლების პოლიტიკის ქვაკუთხედია.

ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, როდესაც რფ-ს პარლამენტში, საბჭოთა კავშირის ჰიმნის რეანიმაციის ფონზე, 1999 წელს პირველ კითხვაში მიიღეს კანონი „რფ-ში ახალი სუბიექტების მიღებისა და შექმნის წესის შესახებ“.

ნაშრომი მომზადებულია: პარლამენტის კომიტეტების საკომიტეტო მოსმენების, რუსული და ქართული მასმედიის წყაროების მიხედვით

ქვეყნის უსაფრთხოების ინფორმაციული პრობლემები

გელა კვაშილავა

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველომ კვლავ მიიღო შანსი შეერთებოდა დამოუკიდებელ ერთა თანამეგობრობას - გამხდარიყო საერთაშორისო ურთიერთობების სამართალსუბიექტი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარე კარდინალური სოციალური გარდაქმნები, რომლებსაც თან ერთვის საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესი, შეიძლება დახასიათდეს როგორც „ინფორმაციული საზოგადოების“ ჩამოყალიბების შცდელობა. საუბარია გლობალური ინფორმაციული ინდუსტრიის შექმნაზე, რასაც საქართველო გვერდს ვერ აუვლის. მთელი მსოფლიო განიცდის ტექნოლოგიური კონვერგენციის, ორგანიზაციების შერწყმის, კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, ინფორმაციის ეკონომიკური განვითარების, დასაქმების სფეროში ატრუქტურული ცვლილებების პერიოდს. ესპანელ მეცნიერის მანუელ კასტელსის აზრით უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში მსოფლიოში ჩამოყალიბდა ინფორმატიზაციის პროცესების ფართოდ დაწყების საფუძვლები[1]. ინფორმატიზაციის პროცესს ადგილი აქვს როგორც ინდუსტრიულ, ისე განვითარებად სახელმწიფოებში. ასე მაგალითად, ირლანდიური კომპანია NUA-ს მონაცემებით (იკვლევს გლობალური ქსელის განვითარებას) რუსეთის ინფორმაციული პროდუქტის და სერვისის მთლიანი მოცულობა წელიწადში შეადგენს 6-7,5 მილიარდ დოლარს. 2000 წლის მონაცემებით ინტერნეტით მომსახურეობით მთელს მსოფლიოში სარგებლობს 270 მილიონი ადამიანი, ხოლო ინტერნეტის მუშეობით გაყიდვის ციფრი 2002 წლისათვის მიაღწევს 7 მილიარდ დოლარს. შედარებისათვის ეს რიცხვი 1997 წელს შეადგენდა 400 მილიონ დოლარს. ბოლო წლებში საქართველოშიც დაიწყო ქვეყნის ინფორმატიზაციის პროცესი, რამდენჯერმე გაიზარდა საზღვარგარეთიდან შემოსული და ადგილზე წარმოებული ინფორმაციის მოცულობა. საქართველოში ინფორმატიზაციის პროცესი მასიურად 90-იანი წლებიდან იწყება. ქვეყანა ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც ერთვება საერთაშორისო გლობალურ ქსელში, შემოდის ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები, სატელეკომუნიკაციო საშუალებები. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 21 დეკემბრის №678 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ინფორმატიზაციის დეპარტამენტი. დეპარტამენტის შექმნის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო აღმშენებლობის ყველა სფეროში ინფორმატიზაციის პროცესების მართვის, კოორდინაციისა და სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელება. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით მობილური ტელეფონების მფლობელთა საერთო რაოდენობამ საქართველოში 2000 წლის მონაცემებით 100 ათას გადააჭარბა, ხოლო ინტერნეტით მომსახურეობაზე გადავიდა თითქმის ყველა სერიოზული კომპანია. საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, რუსთავი-2, აჭარის ტელევიზია, რადიო „ფორტუნა“ და მასმდიის სხვა საშუალებები თავიანთ მუშაობას წარმართავენ კოსმოსური თანამგზავრული სისტემების საშუალებით. ინფორმაცია დღითიდღე სულ უფრო და უფრო ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებზე. ინფორმატიზაცია საკაცობრიო კულტურას ამდიდრებს ახალი ელემენტით - ინფორმაციული კულტურით, რომელსაც სპეციალური ფუნქციაც აკისრია. ქვეყნის შემდგომი განვითარება და მისი უსაფრთხოება პირდაპირაა დაკავშირებული აღნიშნული სოციალური ფუნქციის სწორ გაგაზრებასთან. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი პოლიტოლოგთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშია. რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემების შესწავლას მიმდინარე ინფორმატიზაციის ფონზე, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლები ყურადღება ეთმობა. ბევრი მეცნიერი თუ საზოგადო მოღვაწე, უსაფრთხოების პრობლემებზე საუბრისას გამოყოფს ეროვნული უსაფრთხოების შემდეგ ძირითად ელემენტებს: სამხედრო უსაფრთხოება, სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკოლოგიური უსაფრთხოება. წინამდებარე სტატია არის ცდა, რათა ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემა განხილულ იქნას არა როგორც ერთი ლოკალური, არამედ - როგორც უფრო გლობალური საკითხი და თანამედროვე პირობებში იგი აუცილებელია მიჩნეულ იქნას სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირების უპირველეს პირობათაგან. ინფორმატიზაციის პროცესის დაჩქარება და ეფექტური ინფორმაციული უზრუნველყოფის ქსელის შექმნა პირდაპირაა გადაჯაჭვული ეროვნულ უსაფრთხოებასთან. საქართველოს განვითარების

[1] *Манузль Кастельс. «Информационная Эпоха» Высшая школа Экономики, Москва, 2000 г.*

თანამედროვე, ეტაპზე შესაძლებელია საკმაოდ მკაფიოდ გამოვყოთ ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების ინფორმაციული კომპონენტები. ჩვენი საზოგადოების ინფორმატიზაციის დონე მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის ჩართვას მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. ქვეყანაში ინფორმატიზაციის პროცესის განვითარებამ, რომელიც განსაკუთრებით შეიმჩნევა ბოლო ათწლეულში, წარმოშვა ახალი სოციალ-ტექნოლოგიური და სხვა ხასიათის პრობლემები. აღნიშნული პრობლემების ძირითადი სპექტრი დაკავშირებულია ადამიანის და საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემასთან. დღევანდელ პირობებში ადამიანის, საზოგადოების და საერთოდ სახელმწიფოს მრავალი სასიცოცხლო ინტერესები დამოკიდებული ხდება მის გარშემო არსებული ინფორმაციული სფეროს მდგომარეობაზე[2]. ჩვენი ქვეყნის ინფორმაციულ სივრცეზე მიზანმიმართულ და გაუთვალისწინებელ ზემოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის სერიოზული საფრთხე. ინფორმაციული უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ინფორმაციული გარემოს დაცვა. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება საინფორმაციო სფეროს ზრდით. იგი წარმოადგენს ინფორმაციის, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, სუბიექტების (რომლებიც ახორციელებენ ინფორმაციის შეგროვებას, ფორმირებას, გავრცელებასა და გამოყენებას) და აგრეთვე ამასთან წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სისტემის ერთობლიობას. საინფორმაციო სფერო საზოგადოების ცხოვრების სისტემის ჩამოყალიბების ფაქტორად გვევლინება. იგი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სხვა შემადგენელი ნაწილის მდგომარეობაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და ტექნიკური პროგრესის განვითარების დროს ეს დამოკიდებულება თანდათათან გაიზრდება. რუსეთის ფედერაციის ინფორმაციულ დოქტრინაში ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოება განმარტებულია, როგორც ეროვნული ინტერესების დაცვა და პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების დაბალანსირება.

პიროვნების ინტერესები საინფორმაციო სფეროში მდგომარეობს როგორც ადამიანისა და მოქალაქის მიერ ინფორმაციის მიღების კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციაში, ასევე კანონით დაშვებული საქმიანობისას ინფორმაციის გამოყენებაში ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისათვის, გარდა ამისა, ინფორმაციის დაცვაში, რომელიც თავის მხრივ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას გუ ოისხმობს.

საზოგადოების ინტერესები საინფორმაციო სფეროში შეიცავს: პიროვნების ინტერესების უზრუნველყოფას ამ სფეროში, დემოკრატიის განმტკიცებას, სამართლებრივ სოციალურ სახელმწიფოს შექმნას, საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევას და შენარჩუნებას, ქვეყნის სულიერ განახლებას.

სახელმწიფო ინტერესები საინფორმაციო სფეროში შეიცავს: ქვეყნის საინფორმაციო ჰარმონიული განვითარებისათვის, ადამიანისა და მოქალაქის საკონსტიტუციო უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისათვის პირობების შექმნას ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების სფეროში, რათა განმტკიცებული და ურყევი იყოს საკონსტიტუციო წყობილება, სუვერენიტეტი და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობა, თანასწორუფლებიანი და ურთიერთმომგებიანი საერთაშორისო თანამშრომლობა. ინფორმატიზაციის პროცესისა და ქვეყნის ინტერესების ერთმანეთთან დამოკიდებულების შესწავლა პრაქტიკულად 80-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო. მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ დაიწყო მუშაობა ინფორმაციულ უსაფრთხოების დოქტრინაზე, ნებისმიერი ქვეყნის უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს ეროვნული ინტერესები, ხელისუფლება ამ ინტერესებიდან გამომდინარე ახდენს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებას, ხდება სტრატეგიული და მიმდინარე ამოცანების განსაზღვრა. უსაფრთხოება როგორც ზოგადი ტერმინი, ნიშნავს გადარჩენას, ექსისტენციალურ საფრთხეთა წინაშე.[3] უსაფრთხოება როგორც წესი, აღქმულია სახელმწიფოსა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესთა გადარჩენის საშაულებად ან პირობად. არნოლ ვოლფერსის განმარტებით უსაფრთხოებაში იგულისხმება „საშინაო" - ეროვნულ და საზოგადოებრივ ღირებულებათა დაცვა[4]. ეროვნული ინტერესების დაცვა წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების ქვაკუთხედს. თავისთავად ცნება ინტერესები არ არსებობს თავისთვის, არამედ ის შედგება ტრიადისგან, რომელშიც აგრეთვე შედის ფასეულობები და მიზნები. ამერიკელი მეცნიერის მოდელსკის აზრით ეროვნული ინტერესები გულისხმობს ისეთ ფასეულობებს და მიზნებს, რომელთა მისაღწევად თუ შესანარჩუნებლად სახელმწიფო შეიძლება უდიდეს მსხვერლპზე დათანხმდეს[5]. მოდელსკის ამ მოსზრებას ეთანხმება

[2] *K. Колин, «Социальная Информатика» ст. 235 Москва, 2000 г.*

[3] *Barry Buzan , Ole Waever , Jaap De Wilde Security : A New framework for analyst , Lynne Rinner publisher , p.22 , London 1998 .*

[4] *Arnold Wolfers , Discord and collaboration : Essay on international politics , Baltimore 1962.*

[5] *G. Modelski A Theory Of Foreign Policy . p. 86. Praeger , New- York 1962 .*

ქართველი მეცნიერი ალექსანდრე რონდელიც[6].

დასავლეთის ქვეყნებში მიღებულია ნაციონალური, ეროვნული ინტერესების კლასიფიკაცია. როცა საუბარია სამხედრო უსაფრთხოებაზე იგი იყოფა გადარჩენის ინტერესებად, სასიცოცხლო ინტერესებად, მნიშვნელოვან ინტერესებად და პერიფერიულ ინტერესებად. ჯონ ნიხტერლეინის კლასიფიკაცია ეფუძნება ზიანის იმ მასშტაბებს, რომელიც შეუძლია გამოიწვიოს ამა თუ იმ საფრთხის რეალიზაციამ[7]. ამ მოსაზრებას ეთანხმება რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მანილოვიც[8]. ზოგადად განასხვავებენ სასიცოცხლო და მეორეხარისხოვან ინტერესებს. ა. რონდელის აზრით სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესები დაკავშირებულია მის სიცოცხლისუნარიანობასთან და არსებობასთან. ეს არის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, კულტურული თვითმყოფადობა, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა. სამეცნიერო ლიტერატურაში სასიცოცხლო ინტერესები ხშირად გაიგივებულია ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ა. რონდელი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ეროვნული ინტერესების ეკონომიკური კომპონენტის მნიშვნელობას[9]. კონვერგენცია, ინტეგრაციული პროცესები, გლობალიზაცია ქმნიან ისეთ ვითარებას როცა კონფლიქტების გადაწყვეტის ძირითადი საშუალება ეკონომიკურია. ცნობილი ამერიკელი მკვლევარი გილპინი თანამედროვე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კეთილდღეობას მიიჩნევს[10]. დღეს დასავლეთის განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა და განვითარებადი ქვეყნების ნაწილი ინფორმაციული ეკონომიკის რელსებზე გადადის. რუსი მეცნიერის ვლ. ინოზემცევის აზრით ყალიბდება ინფორმაციული საზოგადოება. წარმოებითი ურთიერთობების მთავარი პროდუქტი ხდება ცოდნა[11]. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით თუ 20-30 წლის წინ ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოება ზემოთ ნახსენები კლასიფიკაციით მეორეხარისხოვანი ინტერესების სფეროში თავსდებოდა, ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აშკარაა მისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროში გადასვლა. ჩვენი ქვეყნის არსებობა და შემდგომი განვითარება შეუძლებელი ხდება ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე. გამოიყოფა ქვეყნის ინფორმაციული უსაფრთხოების ოთხი ძირითადი შემადგენელი:

1. ადამიანის და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა ინფორმაციის მიღებისა და გამოყენების სფეროში. საზოგადოების სულიერი ფასეულობების განმტკიცება, კულტურული და მეცნიერული პოტენციალის შენარჩუნება.

2. სახელმწიფო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა. მისი მიზანია საქართველოს და საზღვარგარეთის საზოგადოებასთან მიიტანოს სრული, უტყუარი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკის შესახებ, რათა საზოგადოების შეუფერხებლად გაეცნოს ქვეყნის ოფიციალურ პოზიციას საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, მოქალაქეების ხელმისაწვდომობა სახელმწიფოში არსებული საინფორმაციო რესურსებისადმი.

3.) თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება. საკუთარი ინფორმაციული ინდუსტრიის ინფორმატიზაციის, ტელეკომუნიკაციების და კავშირის საშუალებების შექმნა. ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებების უზრუნველყოფა საკუთარი ინფორმაციული პროდუქტებით და შემდგომში მსოფლიო ბაზრებზე გასვლა. საკუთარი ინფორმაციული რესურსების დაგროვება, შენარჩუნება და ეფექტური გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების დარგებში. ამის საფუძველზე, თანამედროვე პირობებში მეცნიერულად ტევადი ტექნოლოგიების, მიკროელექტრონის, კომპიუტერული მრეწველობის და სხვადასხვა ტექნოლოგიების ადგილზე წარმოებისათვის საინვესტიციო კლიმატის შექმნა.

4. ინფორმაციული უსაფრთხოების მეოთხე შემადგენელი ელემენტი გულისხმობს ინფორმაციული რესურსების დაცვას არასანქცირებული შეღწევისაგან, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ინფორმაციული ზემოქმედების ძირითადი ფაქტორება:

1. პოლიტიკური ფაქტორები:

ა) მსოფლიოში გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება, რაც გამოიხატება ერთპოლარული მსოფლიოს შექმნის ტენდენციაში აშშ-ს ჰეგემონიით.

ბ) არსებული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ნგრევა და ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.

გ) საერთაშორისო ურთიერთობის აქტიური განვითარება და აქედან გამომდინარე ინტენსიური ინფორმაციული ურთიერთქმედება საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

დ) აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნების გაძლიერებული ინფორმაციული ექსპანსია იმ მიზნით, რომ მთელ მსოფლიოს მოახვიონ თავიანთი მსოფლმხედველობა, პოლიტიკური და სულიერი ფასეულობები.

2.) სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები:

[6] *რონდელი ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები, გვ. 86. თბილისი,1996.*

[7] *Nuechterlein D. United States National interest in changing World . Lexington : The university Press of Centucky , 1973 .*

[8] *В. Л. Манилов «Безопасность в эпоху партнерства » ст. 21 Москва. «Терра » 1999 г.*

[9] *რონდელი ალექსანდრე. საერთაშორისო ურთიერთობები, გვ. 89. თბილისი,1996.*

[10] *R. Gilpin War a Change in World. Cambridge University Press pp.18-25 1989 .*

[11] *В.Л. Иноземцов «Новая постиндустриальная волна на западе» . "Academia " 1999 г.*

ა) მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემა, საზოგადოების მატერიალური და სულიერი დეგრადირება, ღია და ფარული საფრთხის ზრდა.

ბ) სოციალური დაცვის სისტემის დანგრევა, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება და ცხოვრების ხანგრძლივობის შემცირება.

გ) დამნაშავეობის ესკალაცია, ალკოჰოლიზმით, ნარკომანიის და პროსტიტუციის გავრცელება, საზოგადოებრივი ურთიერთოებების კრიმინალიზაცია. ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაციული უსაფრთხოების ელემენტებიდან საქართველოში მიმდინარე ინფორმატიზაციის დროს მეტ-ნაკლებად მეტი ყურადღება ეთმობა ინფორმაციული სისტემების ტექნიკური დაცვის პრობლემას. საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ და ხელისუფლების მხრიდან ინფორმაციული უსაფრთხოება ძირითადად განიხილება ტექნოკრატიული პოზიციებიდან. არადა, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმატიზაციის პროცესში ინფორმაციის საშუალებების განსაკუთრებით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ადამიანის ფსიქიკაზე ნეგატიური ზემოქმედება. ქვეყნის ინფორმაციული გარემოს მდგომარეობა დღეს შეიძლება დახასიათდეს როგორც ქაოსური პროცესების სფერო. საყოველთაო ინფორმატიზაციის ფონზე, რასაც თან სდევს ტოტალიტარული სახელმწიფოდან დემოკრატიულზე გადასვლის პროცესი სულ უფრო შესამჩნევი ხდება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, სამეცნიერო მუშობა საწყის სტადიაში თვით დასავლეთის მრავალ განვითარებულ ქვეყნებშიც, ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების ქვეშ გულისხმობენ მოქალაქეების, ცალკეული ჯგუფების და მთლიანად ქვეყნის დაცვას ფსიქოლოგიური ზემოქმედებისგან.

3. სულიერი ფაქტორები:

ა) ზნეობრივი და სულიერი ფასეულობების ტრადიციული ნორმების დეფორმაცია.

ბ) საზოგადოებრივ შეგნებაში მასიური კულტურის შეღწევა და მის მიერ კულტურულ-ისტორიული ეროვნული ტრადიციების გამოძევება.

გ)რელიგიური ფუნდამენტალიზმის, რელიგიური სექტანტობის და მითოლოგიური შეგნების დესტრუქციული როლის გაძლიერება.

4. ტექნოლოგიური ფაქტორები:

ა) საზოგადოებრივ შეგნებაზე ზემოქმედების ახალი ფორმების შექმნა და ფართო გავრცელება. მათში მოიაზრება საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიები, ნეიროლინგვისტური პროგრამირება, ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება.

ბ) საზოგადოებრივი ტელევიზიის მასიური გავრცელება და მისი გამოყენება როგორც მაღალი ეფექტური საშუალება საზოგადოებრივ შეგნებაზე ზემოქმედებისა.

გ) ისეთი ინფორმაციული ტექნიკის და ახალი კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა, რომელთაც ფსიქიკაზე ძლიერი ზემოქმედების საშუალება გააჩნიათ. ძირითადად გამოყოფენ ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების შემდეგ ძირითად სახეებს:

1. უნებური ზემოქმედება, განპირობებული ინფორმატიზაციის საშუალებების ტექნოლოგიური რეჟიმების ფუნქციონირებით.

2. წინასწარგამიზნული მანიპულაციური ზემოქმედება პიროვნებაზე, რომლის მიზანია ღია და ფარული ძალისხმევა გარკვეული მოქმედებისკენ.

ა) უნებური ზემოქმედება, რომელიც გამოწვეულია, ინფორმატიზაციის საშუალებების ტექნოლოგიური რეჟიმების ფუნქციონირებით. მაგალითად, კავშირგაბმულობით, კომპიუტერული და სატელევიზიო ტექნიკის ელექტრომაგნიტური გამოსხივება[12].

ბ) წინასწარ გამიზნული მანიპულაციური ზემოქმედება პიროვნებაზე იმ მიზნით რომ მოხდეს მისი აშკარა და ფარული წაქეზება განსაზღვრული მოქმედებისკენ.

უნებური ტექნოლოგიური ზემოქმედების ანალიზს საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესში სწავლობს ინჟინერული ეკოლოგია, რომელიც 30 წლის წინ შეიქმნა. ამ მეცნიერების შესწავლის ძირითადი მიზანი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების - ტელევიზიის, კომპიუტერების, მობილური კავშირგაბმულობის საშუალებების ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური, უარყოფითი ზემოქმედების პრობლემები. საზოგადოების გლობალური ელექტროფიკაციისა და ინფორმატიზაციის პირობებში რუსი მეცნიერი კოლინი ვარაუდობს, რომ ნებისმიერი ქვეყნის წინაშე დადგება ინფორმაციულ-ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა. მისი აზრით დედამიწაზე იზრდება ელექტრომაგნიტური ველების ინტენსივობა, რაც გავლენას ახდენს არა მარტო ცოცხალ ორგანიზმების ბიოლოგიურ პროცესებზე, არამედ მის გენეტიკურ საფუძველზეც.

ადამიანზე მანიპულაციური ზემოქმედებიდან მეცნიერები გამოყოფენ შემდეგ მიმართულებებს:

ა) მაღალი პროფესიონალიზმი ასეთი ზემოქმედების ორგანიზებაში მისი განხორციელება ძალუძთ მხოლოდ სპეციალური ფსიქოლოგიურ მომზადებასა და გამოცდილების მქონე პირებს.

ბ) ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასიურ შეგნებაზე ზემოქმედებისას ახალი ფორმების და ფარული საშუალებების გამოყენება. ისინი ცნობილია, როგორც ფსიქოლოგიური ტექნოლოგიები.

გ) უკანასკნელ წლებში ფსიქოფიზიკური (ფსიქოტრონული)) იარაღის გამოჩენა. აღნიშნული ტექნოლოგიური საშუალებები გამოიყენება ადამიანის ფსიქიკურ ფუნქციაზე, ფიზიოლოგიურ ორგანოებზე დისტანციური ზემოქმედების მიზნით.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რამაც განაპირობა თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის შეგნებაზე ფსიქოლოგიური მანიპულირება არის ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლა. საბაზრო ურთიერთობების აბსოლუტიზაციამ და უმწვავესი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებამ, სადაც ინდივიდის საბოლოო მიზანს წარმოადგენს სიმდიდრის, კაპიტალის დაგროვება. ამან ადამიანში გააჩინა ძლიერი ფსიქოლოგიური მოტივაცია თვითმომხვეჭელობისაკენ.

მსოფლიოში სხვადასხვა პროდუქტების ფართო მასშტაბებით რეკლამამ გამოიწვია იძულებითი შესყიდვების ავადმყოფობა. ეს სოციალური მოვლენა ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე საკმაოდ ფეხმოკიდებულია. ახლო მომავალში მოსალოდნელია მისი საქართველოში გავრცელება. იგი მოქალაქეებს აიძულებს ისეთი ნივთების შეძენას, რომელიც მათ საერთოდ არ სჭირდებათ. კომპანიები მიზნის მისაღწევად იყენებენ სარეკლამო ტექნოლოგიებს, ადამიანის ქვეცნობიერზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების სპეციალურ მეთოდებს. რეკლამის ეფექტურობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფრაზეოლოგიას, ტერმინოლოგიას, ფერთა შეხამებას. ქვეყანაში მიმდინარე ინფორმატიზაციის პროცესი აღრმავებს ადამიანების ინფორმაციულ-კომუნიკაციურ პროცესებში ჩართვის დონეს. ეს თავის მხრივ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოების მანიპულირების შესაძლებლობებს ზრდის. აქედან გამომდინარე საქართველოს ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას სერიოზული ფაქტორები ემუქრება.

უკანასკნელ წლებში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება პოლიტიკური პარტიების ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი არსენალი ხდება. პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტტექნოლოგების მიერ ადგილი აქვს სხვადასხვა საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვას. სოციოლოგიური გამოკითხვა, ბრეინშტორმინგი, ინიჯოლოგია, პაბლიკრილეიშენი ყველა ეს ტერმინები უშუალოდ უკავშირდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. მაგალითისათვის 1995 წელს არჩევნებამდე ორი თვის წინ ელცინის რეიტინგი 20-25% იყო, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამიზნული გამოყენებით ელცინი ხელმეორედ აირჩიეს პრეზიდენტად. ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პრობლემამ რუსეთში ისეთი მწვავე ფორმა მიიღო, რომ 1995-96 წლებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა ორი დიდი პრაქტიკული კონფერენცია მოაწყო ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პრობლემაზე. პრობლემა არანაკლებ აქტუალურია საქართველოსთვის. ქვეყანა განვითარების თანამედროვე ეტაპზე წაწყდა შემდეგ პრობლემებს:

1. ქვეყანა დღეს იმყოფება სოციალურ ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, სულიერი კრიზისის პირობებში. რასაც ემატება მოსახლეობის ადაპტაცია ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური მანიპულირებისადმი.

2. ქვეყანას არა აქვს მოსახლეობის ფსიქოლოგიური მანიპულირებისაგან დაცვის მექანიმზმები. ასეთი დაუცველობის შედეგი იყო საქართველოში შექმნილი ერთდღიანი ფინანსური პირამიდები, რომელთა უმრავლესობა საპნის ბუშტივით გასკდა და გაქრა. ქოლორი, ოქროს საწმისი, ოქროს თასი, აჩი და ა.შ. ეს გახლდათ რეკლამის საშუალებით მოქალაქეების შეგნების მანიპულირება, რასაც 124 ათასი ადამიანის გაკოტრება მოჰყვა. პოლიტიკური მანიპულირების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ის საინფორმაციო ომი, რასაც ზოგიერთი საზღვარგარეთის ქვეყანა, საერთაშორისო ორგანიზაცია, მასმედიის საშუალებები ეწევა საქართველოს მიმართ.

3. ქვეყანაში არ არის ნეგატიური ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების კონტროლისა და განეიტრალების სოციალური მექანიზმები. დაუყოვნებლივ შესაქმნელია მისი რეგულირების სამართლებრივი ბაზა.

4. ქვეყანაში ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონსტრუქციული გადაწყვეტილებების ძიებას აფერხებს ქვეყანაში კონცეპტუალური მეცნიერულ-მეთოდური უზრუნველყოფის არარსებობა. აუცილებელია დაჩქარდეს მუშაობა საქართველოს ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციაზე.

---

[12] *К. Колин, «Социальная Информатика», ст. 309, Москва, 2000 г.*

საინფორმაციო გვერდი

გატყობინებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფმა გააგრძელა აქტიური საქმიანობა. ჯგუფის ხელმძღვანელი მონაწილეობდა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ მნიშვნელოვან შეხვედრებში. კერძოდ იგი დაესწრო:

- 2001 წლის მარტის თვეში საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, რომელზეც განიხილებოდა *2000-2002 წლებში საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის სტრატეგიული და ფუნქციური რეფორმების მიზნები და სამოქმედო გეგმა;*

- ამა წლის 8-9 მარტს არასამთავრობო ორგანიზაცია „ელკანას“ მიერ მოწყობილ კონფერენციას თემაზე *„აგრარული რეფორმები საქართველოში - რეალობა და პერსპექტივები“;*

- საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ 2001 წლის 29 მარტს გამართულ საკონსულტაციო სხდომას, სადაც განიხილებოდა *საკონსულტაციო საბჭოს დებულების კონცეფცია.*;

- ამავე რიცხვში ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში ტასისის ინიციატივით ჩატარებულ *საქართველოს ექსპორტის განვითარების კონცეფციის საჯარო განხილვას*;

- ზემოხსენებული სამინისტროს მიერ 2001 წლის 3 აპრილს გამართულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომას, რომელზედაც ხე-ტყის რეფორმა განხილებოდა;

- 2001 წლის 11 აპრილს ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მიერ ორგანიზებულ სემინარს თემაზე: *სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები კორუფციასთან საბრძოლველად.*

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვიწვევთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისსა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

ცენტრის მხარდამჭერები

❋ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო დონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❋ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო დონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

❋ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❋ ცალეული დონისძიებეის სპონსორი კომპანია დონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც დონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება დონისძიებეზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

მხარდამჭეროგით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საქმიანოგით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში“
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3